1921 1951

140
051/3

ეროვნული
ბიბლიოთეკა

140/3 83

# XXX

# პიონერი

№ 2 თებერვალი 1951

# პ ი ო ნ ე რ ი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

№ 2 თებერვალი 1951

გამომცემლობა
„კომუნისტი“
ფელიეტონი XXV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии


# ვასახელოთ, ვაძლიერეთ

თვალს ახარებს, გულს ამღერებს
კაცთმოყვარე, საქმით დიდი
საქართველო ჩვენი დედა,
საბჭოეთის მარგალიტი.

მისი კოხტა მთა და ბარი,
რომ ყოველთვის ხიბლავს მნახველს,
წინაპრებმა ხმლით და მკერდით
დაიცვეს და შეგვინახეს.

საქართველოს ძლიერება
შრომითა და ბრძოლით ზარდეს;
უკვდავების სხივი ჰქონდათ
მათ გუთნებს და მუზარადებს.

თვალს ახარებს, გულს ამღერებს
კაცთმოყვარე, საქმით დიდი
საქართველო გმირთა დედა,
კომუნიზმის გზით რომ მიდის.

ყველგან მზეა, ყველგან უხვად
მოსჩქეფს წყარო აღტაცების.
გუშაგობენ გმირთა დედას
მისი გმირი ვაჟკაცები.

მის ქალაქებს, დაბა-სოფლებს,
ოქროს ბეღლად ქცეულ მთა-ველს
მის კალთაში აღზრდილები
სასახელო შრომით რთავენ.

მათი გარჯით ფრთაშესხმულნი
მხნედ მივყვებით მათ კვალს ნაქებს,
ცოდნას ვიძენთ, რომ ძლიერად
გაიბრწყინოს ჩვენმა საქმემ;

ვასახელოთ, ვაძლიეროთ
კაცთმოყვარე, საქმით დიდი
საქართველო ჩვენი დედა,
საბჭოეთის მარგალიტი.

**გიორგი კაჭახიძე**



140/
05173

ლავრენტი პავლეს-ძე ბერია

ფოტოტრეპროდუქცია **უჩა ჯაფარიძის** ნახატიდან

# რას უმღერის ჩვენი ხალხი

გონების თვალი მიმოვავლოთ საბჭოთა საქართველოს, რამდენი რამ არის გაკეთებული ოცდაათი წლის განმავლობაში მის ქალაქებსა და სოფლებში, მის მთასა და ბარში.

აბა წარმოიდგინეთ რევოლუციამდელი საქართველო. რა დიდი განსხვავებაა! მაშინ საქართველოში თბილისის რკინიგზის სახელოსნოებისა და ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის გარდა არც ერთი მსხვილი საწარმო არ არსებობდა. მრეწველობის საფუძველს შეადგენდა „მხოლოდ წვრილი მინამრეწველური ანუ ნახევრადმინამრეწველური საწარმონი წარმოების ძველთაძველი წესებით“ (ლ. პ. ბერია).

სამთომადნო მრეწველობა წარმოდგენილი იყო მხოლოდ ჭიათურის მარგანეცის მოპოვებით და ისიც უცხოეთში გაჰქონდათ; ტყიბულის ქვანახშირის მოპოვება კი იმდენად დაბალ დონეზე იდგა, რომ იგი საქართველოს ჩამორჩენილი მეურნეობის მოთხოვნილებასაც ვერ აკმაყოფილებდა.

ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი საწარმოო სამუალებანი შეუსწავლელი და გამოუყენებელი იყო.



ქუთაისის სახ. საქ. სახელმწ

1921 წლის 25 თებერვლიდან იწყება საქართველოს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აყვავება. მთელი ბუნებრივი საწარმოო საშუალებანი ხალხის საკუთრებად იქცა და დაიწყო ამ საშუალებათა შესწავლა და გამოყენება, დაიწყო ქვეყნის ეკონომიური აღორძინება. სტალინური ხუთწლედების მანძილზე საქართველო ჩამორჩენილი, „რუსეთზე უფრო მეტად გლეხური ქვეყნიდან“ (ვ. ი. ლენინი) მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო ქვეყნად გადაიქცა. ქართველი ხალხი ამ თავის გამარჯვებას უმღერის საქართველოს სახელმწიფო ჰიმნის სიტყვებით:

**შენი ოცნება ასრულდა, აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,**
**რისთვისაც სისხლი ღვარეო; ილხინე, ქართველთ მხარეო!**

„საქართველო ეს უბედნიერესი კუთხეა ბუნებრივი სიმდიდრეებით დაჯილდოებული“, — ასე შეაფასა ჩვენი ქვეყანა ამხანაგმა ვ. მ. მოლოტოვმა. მართლაც, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ აღმოჩენილ და შესწავლილ იქნა ასობით ახალი საბადო. ასეთია ქუთაისის მახლობლად მდებარე ბარიტის საბადო, რომელიც სავსებით აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის ქიმიურ-ლაქსაღებავების, რეზინის ქაღალდისა და ჩვენი მრეწველობის სხვა დარგების მოთხოვნილებას. ჩვენი გუმბრინი (სოფელი გუმბრი, წყალტუბოსთან) უწინ გამოუყენებელი იყო და იგი „თავსაბანი მიწის“ სახელწოდებით იყო ცნობილი. ეს თიხა ფლორიდიდან (ა. შ. შტატები) შემოგვქონდა „ფლორიდინის“ სახელწოდებით. დღეს ქართული გუმბრინი სავსებით აკმაყოფილებს მთელი ჩვენი ქვეყნის ქიმიური და ნავთობგადამუშავებითი მრეწველობის მოთხოვნილებას.

საქართველოს წიაღისეულ სიმდიდრეთა შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა გეოლოგების მიერ აღმოჩენილ ახალციხის (ქისათიბის) დიატომიტის (ინფუზორიული მიწა) საბადოს, რომელიც ხარისხითა და მარაგით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. ქართული დიატომიტი აკმაყოფილებს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებას ქიმიური, საშენი და მრეწველობის სხვა დარგებში. დიატომიტი დიდი რაოდენობით გაგვაქვს ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებშიც.

საბჭოთა პერიოდში აღმოჩენილ იქნა და დაიწყო დამუშავება ქვანახშირის მთელი რიგი ახალი საბადოებისა ტყვარჩელში, ახალციხეში, გელათში და სხვ., აღმოჩენილ იქნა აგრეთვე ნავთობის, ანდეზიტის, მარგანეცისა და სხვა ლითონებისა და მინერალების საბადოები.

სტალინური ხუთწლედების პერიოდში საქართველოში შეიქმნა მრეწველობის ისეთი ახალი დარგები, რომელიც რევოლუციამდე არ არსებობდა: მანქანათმშენებლობა — მათ შორის ზუსტი მანქანათმშენებლობა, დაზგათმშენებლობა, ნავთმოპოვებითი და ნავთობგადამუშავებითი მრეწველობა, ცემენტის წარმოება, ქიმიური მრეწველობა. გემოკვების მრეწველობიდან აღსანიშნავია ჩაის ფაბრიკები, რომლებშიც ყოველწლიურად 13 ათასი ტონა ჩაი მზადდება. ჩვენი სახელგანთქმული,



კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანი

ქართული სურნელოვანი ჩაი საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეში იგზავნება.

საბჭოთა საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის სიამაყეს წარმოადგენს რუსთავის მეტალურგიული კომბინატი, რომელიც ქვანახშირს — „მრეწველობის ამპურს“ — ტყიბულიდან და ტყვარჩელიდან მიიღებს, მარგანეცს ჭიათურიდან, ხოლო რკინის მადანს აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან (დაშქესანი). აღსანიშნავია აგრეთვე საბჭოთა კავშირში უდიდესი — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, ქუთაისის სამთო-საშახტო მოწყობილობათა ქარხანა და ქუთაისის საავტომობილო ქარხანა, რომელიც წლიურად თხუთმეტათას სატვირთო ავტომანქანას გამოუშვებს.

საქართველო მდიდარია „თეთრი ნახშირით“ — მდინარეებით. მიუხედავად ამისა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში არ იყო არც ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგური. ამჟამად საქართველოში ორასზე მეტი დიდი და პატარა ჰიდროელექტროსადგური ითვლება, მათ შორის აღსანიშნავია საქართველოს სოციალისტური ინდუსტრიის პირმშო — ზაჰესი, დიდი ჰიდროელექტროსადგურები: აბჰესი, სოხუმჰესი, ჭითახევჰესი, რიონჰესი, ხრამჰესი და სხვ. ხრამჰესის ენერგიით რუსთავის მეტალურგიულ კომბი-

ნატში გამოადნობენ ქართულ ფოლადსა და თუჯს. ამ ენერგიას უკვე უხვად ღებულობენ ჩვენი ქვეყნის ფაბრიკა-ქარხნები, ტრანსპორტი, ქალაქები და სოფლები. წლითიწლობით ძლიერდება ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია;

„ჩვენი რესპუბლიკა უკვე გახდა მეტალურგიის, მანქანათმშენებლობისა და დიდი ელექტროსადგურების რესპუბლიკა“ (კ. ნ. ჩარკვიანი) და მას თავისი მრეწველობის განვითარების დონითა და დარგების მრავალფეროვანებით საპატიო ადგილი უკავია საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში.

ქართველი ხალხი დიადი საბჭოთა ქვეყნის მოძმე ერებთან ერთად თავიდანვე მტკიცედ შეუდგა ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის განხორციელებას და წარმატებით შეიდის ომისშემდგომ მეორე სტალინურ ხუთწლედში. დიად საბჭოთა ოჯახში ჰყვავის, იფურჩქნება საქართველოს ეკონომიკა, მისი კულტურა. ამ გამარჯვებაზე მღერის ქართველი ხალხი თავის სახელმწიფო ჰიმნში:

**მოძმე ერების ოჯახში, ყვავდი, ტურფა ქვეყანავ,**
**დამკვიდრდი, გაიხარეო; ილხინე ქართველთ მხარეო!**

გამრავალფეროვანდა სოფლის მეურნეობა, მზიური საქართველო გადაიქცა ციტრუსოვანი მეხილეობის, მაღალხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის, მეთამბაქოობის, ძვირფასი ტექნიკური კულტურების, მეაბრეშუმეობის და სოფლის მეურნეობის სხვა დარგების ერთ-ერთ წამყვან რესპუბლიკად. საქართველო მაღალხარისხოვანი ჩაის ერთ-ერთი მთავარი მწარმოებელია საბჭოთა კავშირში.

ქართველი ხალხი საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გადავიდა გაშლილ შეტევაზე მაღალხარისხოვანი ქართული პურის მოსავლიანობის შემდგომი მძლავრი აღმავლობისათვის.

მეტად ამაღლდა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დონე. უკვე ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ბოლოს საქართველოში ითვლებოდა 69 მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

ყოველწლიურად იზრდება ნათესი ფართობი ახალი მიწების ათვისების ხარჯზე. დიდი სტალინის მითითებათა განხორციელებით ჩვენი სოფლის მეურნეობა 1957 წლისათვის სავსებით დააკმაყოფილებს საქართველოს მოთხოვნილებას საკუთარი მარცვლეულით.

ოცდაათი წელია ქართველ ხალხს ათბობს და ანათებს ცხოველმყოფელი სტალინური მზე. სტალინის გენიას მივყავართ კიდევ უკეთესი მერმისისაკენ, ამ გზაზე წინ მიგვიძღვის საბჭოთა დროშა, ლენინ-სტალინის ძლევამოსილი დროშა; ამას უმღერის ქართველი ხალხი თავისი სახელმწიფო ჰიმნის სიტყვებით:

**საბჭოთა დროშა დაგნათის, ყვავდი, ტურფა ქვეყანავ,**
**მზესავით მოელვარეო; ილხინე ქართველთ მხარეო!**

დოც. **გრ. ზარდალიშვილი,**
**გეოგრაფიულ მეცნიერებათა კანდიდატი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მენლება, მშვენდება თბილისი

ინახავს თბილისი მზის სხივთა წვიმაში,
გულში რომ ბაჯაღლოს ინახავს?
თუ ნახე, — წადი და თამამად თქვი მაშინ,
რომ მართლაც სიტურფე გინახავს.

აქ ქვაც კი აყვავდა, კლდეები თიხნარი,
ბაღები, სკვერები — ვარდნარი;
სადაც გსურს ეძებე, მოდი და მითხარი,
მეორე თბილისი სად არი.

ღიმილით გიცქერის ნაძვი და ცირცელი
გარშემო ფლატედან, ბექიდან,
ღაღანებს წალკოტი და წყარო გამოდის,
სადაც მზის ალმური ეკიდა.

შენდება, მშვენდება, ედება გედებად
გაფრენილ თეთრ ღრუბლებს ხარაჩო, —
ბაღნარად გახადა, ეს იმან დახატა,
ვინც ხალხის სიცოცხლეს დარაჯობს.

ლექსში სად ჩამოთვლი, ქვაშიც ვერ გამოთლი, —
ნათქვამზე სათქმელი ბევრია,
ქვა ამბობს: „საძირკვლად ბერიამ ჩამაგდო";
ხე ამბობს: „მე დამრგო ბერიამ".

ქარხნებში ლაპლაპებს ფოლადი ქართული,
შეხედე, მანქანის ნაწილებს.
შეხედე, სართულზე დაუდგამთ სართული
თბილისის მკლავმაგარ არწივებს.

შენდება, მშვენდება, ედება გედებად
გაფრენილ თეთრ ღრუბლებს ხარაჩო, —
ეს იმან დახატა, ბაღნარად გახადა,
ვინც ხალხის სიცოცხლეს დარაჯობს.

სიცოცხლე უჩვევი აქ ფართო ქუჩებით
მოდის და არა წყვეტს დინებას,
დიდება ვინც ხალხზე ფიქრებით ათენებს,
მშრომელთა დიდ მზრუნველს დიდება!

ლადო მრელაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენს მშობლიურ არმიას — დიდება!



ბევრი იმათგან, ვინც ახლახან ჩაიცვა მაზარა საბჭოთა ჯარისკაცის სამხრეებით და მიიღო სამხედრო ფიცი, — ჯერ კიდევ პიონერულ ყელსახვევს ატარებდა დიდი სამამულო ომის წლებში და გულისფანცქალით მოელოდა სამკუთხედად დაკეცილ წერილებს ფრონტელი მამისა თუ უფროსი ძმისაგან. რამდენი მათგანის ყრმობის მახსოვრობაში სამუდამოდ დარჩა ფაშისტ ავაზაკთა მიერ მშობლიური სოფლის გადაბუგვის, მშვიდობიან მცხოვრებთა მკვლელობისა და სახრჩობელათა საშინელი სურათები! რომელთაც ომის ეპიზოდები არ უნახავთ, ისინი მხოლოდ კინოსურათებიდან, წიგნებიდან, ნახატებიდან თუ წარმოიდგენენ საბჭოთა არმიის მიერ ჯერ სამოქალაქო, ხოლო შემდეგ დიდი სამამულო ომის წლებში განვლილ გმირულ, სამკვდრო-საცოცხლო ბრძოლებს.

ახლა ეს ჭაბუკები თვითონ დგანან გმირული საბჭოთა არმიის რიგებში და იცავენ მშვიდობის საქმეს. ბევრი მათგანი მოხვდა კიდეც იმ სახელოვან, ლეგენდარულ პოლკებში, რომლებშიაც გმირულად იბრძოდნენ მათი მამები და უფროსი ძმები. დიდი სამამულო ომის ვეტერანები — ამ პოლკების ძველი მეომრები მოუთხრობენ ჯარისკაცებს თავიანთი ახალი ოჯახის — თავიანთი სამხედრო ნაწილის მიერ განვლილ გმირული საბრძოლო გზის შესახებ.

სტალინის არმიის ჯარისკაცი — მშვიდობის ჯარისკაცია. იგი, ასრულებს რა დიადი სტალინური კონსტიტუციით დაკისრებულ უპირველეს მოქალაქეობრივ მოვალეობას სამშობლოს დამცველისას, გრძნობს უდიდეს სიხარულსა და სიამაყეს. იგი იმ არმიის ჯარისკაცია, რომლის დამაარსებელი და სულისჩამდგმელები იყვნენ დიდი ლენინი და დიდი სტალინი. ამ არმიას ახლა ოცდაცამეტი წელი შეუსრულდა. იგი დაიბადა 1918 წლის 23 თებერვალს, როცა მან ნარვასთან და პსკოვთან გაანადგურა გერმანელი დამპყრობლები.

საბჭოთა არმია სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ქარცეცხლში გამოატარა, გამოაწრთო და მისი სახელი უკვდავი შარავანდედით შემოსა გენიალურმა მხედართმთავარმა გენერალისიმუსმა სტალინმა.

გენერალისიმუს სტალინის გენიით შთაგონებული საბჭოთა არმია დღევანდელ მშვიდობიან პირობებში კიდევ უფრო სრულყოფილსა ჰხდის თავის სამხედრო და პოლიტიკურ მომზადებას, ეუფლება სამხედრო ხელოვნების სულ უფრო და უფრო მაღალ მწვერვალებს.

საბჭოთა არმიის რიგებში გამოწრთობილი, მტრებთან ბრძოლების ცეცხლში გამოვლილი მილიონობით საბჭოთა ადამიანები დღეს მშვიდობიან შრომას ეწევიან. ყოფილი ფრონტელები დაუბრუნდნენ მასწავლებლობას და პატრიოტიზმის სულისკვეთებით ზრდიან ნორჩ თაობას. ყოფილი ფრონტელები დღეს მამაცურად მუშაობენ მაღაროებში და გამოაქვთ ქვანახშირი, მარგანეცი; ისინი ტრიალებენ საამქროებში, მარტენის ღუმელებთან და ქვეყანას აძლევენ მეტ ფოლადს, თუჯს მშვიდობის ინტერესებისათვის; ისინი შრომობენ საკოლმეურნეო მინდვრებში — იძლევიან უხვ მოსავალს; ისინი დღედაღამ ტრიალებენ სტამბებში, ფაბრიკებში — უშვებენ მილიონობით წიგნებს, რვეულებს, ფანქრებს... ისინი სხედან სამეცნიერო ლაბორატორიებში — ახალი გამოკვლევებითა და გამოგონებებით ამდიდრებენ ჩვენს მეცნიერებას, ტექნიკას.

საბჭოთა ხალხი მშვიდობიან შრომას ეწევა. ჩვენი ქვეყნის ამ მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგას საბჭოთა არმია.

სამხედრო ნაწილებში ყოველი ახალი დღე სიხარულის მომტანია. აი მოვიდა მორიგი ფოსტა. ჯარისკაცები ღებულობენ წერილებს მშობლიურ სოფლებიდან და ქალაქებიდან, — მშობლებისა და მეგობრებისაგან, აგრეთვე უცნობი, მაგრამ მაინც ახლობელი საბჭოთა ადამიანებისაგან. ეს წერილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამთბარია მშობლიური სიყვარულით, პატრიოტიზმის გრძნობით. ამ წერილებში საბჭოთა ადამიანები სწერენ იმაზე, რომ ომში ფაშისტების მიერ გადაბუგული სოფელი ხელახლა აშენდა, რომ კოლმეურნეობის სოციალისტური შრომის გმირთა რიგებს კიდევ ახალი გმირები შეემატა, რომ ელექტროსადგური უკვე ამუშავდა და მთელი სოფელი ილიჩის ნათურებითაა გაჩირაღდნებული. ერთი სიტყვით, ამ წერილებში იგრძნობა მშვიდობიანი, ხალისიანი შემოქმედებითი შრომისა და ცხოვრების მაჯისცემა.

პატარებიც სწერენ მეომრებს თავიანთ ნაფიქრსა და გულისნადებს. აი ერთი მათგანი.

„ძვირფასო მებრძოლებო!

ვწერთ ამას № 9 საბავშვო ბაღის უფროსი ჯგუფის ბავშვები.

ჩვენ ძალიან გვინდა მალე გავიზარდოთ და შევიქნეთ თქვენსავით ლონიერები და მარჯვენი.

მხიარულად და მეგობრულად ვცხოვრობთ ჩვენ საბავშვო ბაღში, ვსწავლობთ ლექსებს, სიმღერებს, ვვარჯიშობთ ხტომაში, სირბილში, ნიშანზე სროლაში, რომ შევიქნეთ თქვენსავით მამაცნი და მოქნილნი. შეგვიძლია 30-მდე თვლა და ამოცანების გამოყვანა.

წერა ჯერ არ შეგვიძლია. ჩვენ ამას გვიწერს ჩვენი აღმზრდელი — დეიდა ტასია. მაგრამ შემოდგომაზე ყველანი შევალთ პირველ კლასში და კარგად ვისწავლით. მერე ჩვენ თვითონ მოგწერთ წერილებს.

ველით თქვენს პასუხს.

უფროსი ჯგუფის ბავშვები: ოთხი ვოვა, ხუთი ალექსანდრე, სამი გალია, ოთხი ნათელა, ოთხი ტანია, ორი ვალიკო, გერა, ალიოშა, სერგო, ტოლია, იური.

სულ 27 ბავშვი (დავითვალეთ ჩვენ თვითონ)“.

როცა ამ ბარათს კითხულობ, გული მისი პაწია ავტორებისადმი სიყვარულის გრძნობით გევსება. ისინი და მილიონობით მათი ტოლი ნორჩი მოქალაქენი, — ეს ხომ ქვეყნის, ხალხის, კაცობრიობის სიცოცხლე და ბედნიერებაა, მათი მომავალია.

მაგრამ არიან ყაჩაღები ოკეანეს გაღმა — ამერიკელი და ინგლისელი იმპერიალისტები, რომელთაც სურთ მოუსპონ სიცოცხლე მილიონობით ნორჩ არსებას. მათ მზადა აქვთ ყუმბარები საბავშვო ბაღებზე და სკოლებზე, სამშობიარო სახლებზე და საავადმყოფოებზე დასაშენად. და განა ცოტა ნორჩ კორეელს მოუსპეს ამერიკელებმა სიცოცხლე?

საბჭოთა ხალხმა 4 თებერვალს აღნიშნა ამხანაგ **კლიმენტი ეფრემის-ძე ვოროშილოვის** დაბადების 70 წლისთავი.

ამხანაგი კ. ე. ვოროშილოვი ლენინისა და სტალინის ერთგული თანამებრძოლი, ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა არმიის ერთ-ერთი გამოჩენილი მშენებელია.

დღეგრძელობა, მრავალ წელს ჯანმრთელობა ამხანაგ ვოროშილოვს!

★

განა ცოტა ბავშვი დაიაოლეს ფრანგმა იმპერიალისტებმა ვიეტნამში? სიკვდილს უქადიან კაპიტალისტი დამპყრობლები მთელი მსოფლიოს მშვიდობიან ადამიანებს. მაგრამ ეს საწადელი მათ არ აუხდებათ, რადგან მშვიდობის საქმეს მთელ მსოფლიოში მეთაურობს ჩვენი დიადი საბჭოთა ქვეყანა, ბრძენი სტალინი.

იმისათვის, რომ საბჭოთა ადამიანებმა მშვიდად იცხოვრონ და იმუშაონ, ბავშვებმა ღამე ტკბილად იძინონ, დღე უშიშრად იარონ სკოლაში და ბედნიერად ისწავლონ, იმისათვის, რომ ხალხმა აშენოს კომუნიზმი, ქვეყნად მშვიდობა და ბედნიერება სუფევდეს, — საბჭოთა არმია ფხიზლად დგას სადარაჯოზე.

**ლ. მშვიდობაძე**

ანდრო თევზაძე

ნახ. ა. ბანძელაძისა



თქვენ რომ ფიქრობთ,—პატარა ვარ,
არ ვყოფილვარ სადმე განა?
თბილისიდან კახეთისკენ
მამამ ორჯერ წამიყვანა.

მე ვხედავდი ალაზნის ველს,
გომბორის მთებს ცამდე მაღალს, —
მაგრამ მხარე ციტრუსების
არასოდეს არ მინახავს.

ახლა მივქრი სოხუმისკენ,
უნდა ვნახო ზღვა და გემი;
ის მზიური აფხაზეთიც
ხომ სამშობლო არის ჩემი!

როცა ზაჰესს ჩავუარეთ,
მტკვარს ებრძოდა კლდე მაღალი;
მტკვრის ტალღების ცეცხლით მიდის
თურმე ჩვენი ელმავალი.

როგორ ჩქარა მიგვაქროლებს,
უკვე გავცდით კასპს და გრაკალს,
და თბილისის ლურჯი მთები
შორს ნისლებში დაიკარგა.

აგერ გორის ძველი ციხე
თითქოს ჰყვება ქართლის ამბავს,
გადმოსცქერის ახალ ქალაქს,
ვით მოხუცი მამა-პაპა.

ასე რატომ გამიხარდა,
რად უმატა გულმა ძგერას?

აქ სტალინი დაიბადა,
აქ შუქს აფრქვევს მისი კერა.

აქ უნახავს ბავშვობისას
მტკვრის, ლიახვის ზვირთთა დენა;
ამ ციხეზეც ადიოდა,
როცა იყო ჩემოდენა.

ხომ პატარა ქალაქია,
მაგრამ ქვეყნად არ ყავს ცალი,
მის ბაღებში, მის ქუჩებში
დარჩა სოსოს ყრმობის კვალი.

რა მაღალი მთები ფარავს
ბორჯომსა და ბაკურიანს,
ცად ატყორცნილ მთის მწვერვალებს
ოქროს ჯიღა ახურიათ.

აქ გათავდა ქართლის ველი,
აქ სხვა კუთხის დადგა ჯერი,
და ანაზდად მზე ჩაგვიქრა,
გვირაბში რომ შევიჭერით.

შემეშინდა დაღამების
და კარები გადავრაზე...
ხუთიოდე წუთის შემდეგ
ისევ გავჩნდით ქვეყანაზე.

ისევ მთები, ტყე შრიალა
და ფერები უფრო მკვეთრი.
წინ თანდათან გადიშალა
ჩვენი კოხტა იმერეთი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ ძირულა, ჩხერიმელა
და ყვირილას შავი წყალი
სათითაოდ შემიყვარდა,
სათითაოდ გავიცანი.

მათ ნაპირზე ჰყვავის ლაღად
ბაღია თუ ვენახია,
ხილდასხმული ხის ტოტები
თითქოს მისკენ მეძახიან.

რა ყოფილა ფეროს ქარხნის
ღუმელები ჩაუმქრალი!
მისი ცეცხლის ელვარებამ
შორიდანაც მომჭრა თვალი.

შემდეგ ვნახე სამეგრელო —
ენგური და ანაკლია,
სიმდიდრე და სილამაზე
ამ კუთხესაც არ აკლია.

მაგრამ სხვაა აფხაზეთი,
მისი ზღვა და მისი მთები,
აქ სხვა ფიქრი გაგიტაცებს,
სულ სხვა ცეცხლით აინთები.

გამაოცა ზღვის სიდიდემ,
გემის ნახვაც გამიხარდა,
მისი ანძა, მისი ბანი
მე რამდენჯერ დამიხატავს!

ჩავუარეთ ახალ ათონს,
და ვეწვიე ლამაზ გაგრას,





მათი მწვანე არემარე
მზეს ზურმუხტით დაუქარგავს.

ო, რამდენი ვიცურავე,
გავირუჯე მზეზე ტანი;
შემდეგ გემით გავემგზავრე
და აჭარაც გავიცანი.

მზით ანთებულ ოქროს ქედებს
ვეჯვრეტდი ახალ შთაგონებით, —
ჩაითა და მანდარინით
მოხატულა მთა-გორები.

მე ბახმაროს მთებიც ვნახე,
ხშირად ნისლით შენიღბული;
თითქმის მთელი საქართველო
ჩანდა როგორც ხელის გული.

ო, რა კარგად მოვიარე
მე სამშობლოს ბევრი მხარე,
მისი ზღვა და მისი მთები
კიდევ უფრო შევიყვარე.

გამახსენდა მგოსნის ლექსი,
საამურად სამეტყველო;
მეც ვთქვი: მიყვარს ქართლ-კახეთი
გურია და სამეგრელო.

ყველა კუთხე კალთას გიშლის
საღხინოდ და საჯანმრთელოდ,
რა კარგია, რა ლამაზი
ჩვენი დედა საქართველო!

# საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის 25-27 იანვარს თბილისში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის XVIII ყრილობა. ყრილობა რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში, საქართველოს მთელი ახალგაზრდობის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო.

ძერჟინსკის სახელობის კლუბში, რომელიც იმ დღეს განსაკუთრებით საზეიმოდ გამოიყურებოდა, თავი მოიყარეს საქართველოს კომკავშირის საუკეთესო წარმომადგენლებმა, სოფლისა და ქალაქის მოწინავე ახალგაზრდებმა: სტახანოველმა მუშებმა, საკოლმეურნეო შრომის ნოვატორებმა, მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურის მუშაკებმა, ახალგაზრდა სპორტსმენებმა, მოსწავლეებმა, სახელოვანი საბჭოთა არმიის მებრძოლებმა.

ყრილობას ესწრებოდნენ საქართველოს ბოლშევიკური პარტიის და მთავრობის ხელმძღვანელები. ყრილობის მუშაობას დიდი ყურადღება დაუთმო და მზრუნველობა გაუწია საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელმა კანდიდ ნესტორის-ძე ჩარკვიანმა.

დელეგატებმა მჭუხარე და ხანგრძლივი ოვაციით აირჩია საპატიო პრეზიდიუმში საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო დიდი სტალინის მეთაურობით, აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მიხაილოვი.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ი. ზოდელავა.

ყრილობამ დაჯამა 2 წლის განმავლობაში კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მიერ ჩატარებული მუშაობა.

ამხ. ზოდელავამ დელეგატებს მოუთხრო იმ მნიშვნელოვანი წარმატებების შესახებ, რომელსაც მიაღწია საქართველოს კომკავშირმა პარტიული ორგანიზაციების დახმარებით კომკავშირის XVII ყრილობიდან XVIII ყრილობამდე.

საქართველოს კომკავშირის 309 ათასიანი რაზმი სერიოზული შედეგებით მოვიდა თავის XVIII ყრილობაზე.

მომხსენებელმა ი. ზოდელავამ რესპუბლიკის მუშა და სოფლის ახალგაზრდობის თავდადებული შრომის ღირსშესანიშნავი მაგალითები მოიყვანა.

მარტო 1950 წელს 36.200 ახალგაზრდა მუშამ გადაჭარბებით შეასრულა პირადი საწარმოო დავალება, ხოლო 8.100-ზე მეტმა კი 2 წლის ნორმა. საწარმოთა ახალგაზრდობამ მასალის, ნედლეულის, ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად სამშობლოს მისცეს 37 მილიონზე მეტი მანეთის ეკონომია.

ჩვენი ახალგაზრდობა აქტიურად მონაწილეობს პირველი ქართული ფოლადის—რუსთავის მეტალურგიული ქარხნის, ჭუთაისის ავტოქარხნის, სამგორის სარწყავი სისტემის, გორის ბამბეულის კომბინატის მშენებლობაში; რესპუბლიკის ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია საგრძნობ საშეფო მუშაობას ეწევა და მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მშენებლობათა ორგანიზაციებს.

რესპუბლიკის სოფლის ახალგაზრდობამ ერთგული შრომის საუკეთესო ნიმუშები მოგვცა. საკოლმეურნეო მინდვრებზე სახელოვანი შრომისათვის 181 ახალგაზრდას, მათ შორის 127 კომკავშირელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხოლო 1.100-ზე მეტი ახალგაზრდა დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ყრილობის 24 დელეგატს მკერდზე უბრწყინავდა სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

ყრილობის დელეგატთა შორის იყვნენ: თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდა მუშა გრიგოლ ზარქუა, რომელმაც მე-4 ხუთწლედის განმავლობაში 17 წლის და ექვსი თვის გეგმა შეასრულა, თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის სტახანოველი გულნარა რაჭველიშვილი, გუდაუთის რაიონის სოფ. აბგარხუკის კოლმეურნეობა „ალაშარას" კოლმეურნე ქალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, სოციალისტური შრომის გმირი ლუბა შამბა, სოციალისტური შრომის გმირები: მერგოლური მარგო ბაკარაძე, სოფ. ბობოყვათის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე ნათელა ჩელებაძე და სხვები. აღსანიშნავია ის, რომ დელეგატებად ყრილობაზე მოსწავლე ახალგაზრდობის 50 წარმომადგენელი იყო.

რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციები პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დასახმარებლად სერიოზულ მუშაობას ატარებენ საქართველოს მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და განვითარებისათვის, საქართველოს საკუთარი პურით უზრუნველყოფის ამოცანის განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააუმჯობესეს ახალგაზრდობას შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, აამაღლეს ორგანიზაციულ-პოლიტიკური მუშაობის დონე.

ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო მოსწავლეთა კომკავშირული და პიონერთა ორგანიზაციების მუშაობის, ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საკითხებს. მომხსენებელმა ილაპარაკა იმ დახმარებაზე, რომელსაც კომკავშირი უწევს ბოლშევიკურ პარტიას საბჭოთა სკოლის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებაში.

ამხ. ი. ზოდელავამ თავის მოხსენებაში მოიყვანა მოსწავლეთა სწავლა-აღზრდის საქმეში მოპოვებულ წარმატებათა დამაჯერებელი ფაქტები. რესპუბლიკის სკოლებში ყოველწლიურად მაღლდება სწავლების ხარისხი და მტკიცდება დისციპლინა.

მარტო 1949-50 სასწავლო წელს საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრა 1016 მოსწავლემ. მათი დიდი უმრავლესობა კომკავშირელია.

1950 წელს თბილისში საშუალო სკოლა ოქროსა და ვერცხლის მედალზე დაამთავრა 417 მოსწავლემ, მათგან 413 კომკავშირელია.

საქ. ალკკ XVII ყრილობაზე კ. ნ. ჩარკვიანმა მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დაგვისახა. რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის კომკავშირმა, განათლების ორგანოებთან ერთად, გარკვეული წარმატება მოიპოვა მოსწავლეთა შორის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პროპაგანდისა და დიდი რუსი ხალხის ენის შესწავლის საქმეში. ამ მიმართულებით ჩატარებულ იქნა ბევრი ღონისძიება, მათ შორის სასწავლო-სამეცნიერო ტექნიკური კონფერენციები.

მარტო 1950 წელს ჩატარებულ ტექნიკურ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღო 3.300 მოსწავლემ, ხოლო კონკურსში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს" — 7.500-მდე მოსწავლემ.

სკოლებში ფართოდ გაიშალა ნორჩ მიჩურინელთა მუშაობა.

უკანასკნელი სამი წლის მანძილზე პიონერებისა და მოსწავლეების მიერ დარგულია ერთ მილიონზე მეტი სხვადასხვა მცენარე.

უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გახდა პიონერრაზმეულებისა და რაზმების მუშაობა.

ამჟამად რესპუბლიკაში არის 4.173 პიონერთა რაზმეული, რომელშიც გაერთიანებულია 382.000-მდე პიონერი.

ნორჩ ლენინელთა მრავალათასიანი არმია საქმიან დახმარებას უწევს პედაგოგებს, კომკავშირის ორგანიზაციებს მოსწავლეთა მაღალი აკადემიური წარმატებებისათვის ბრძოლაში. ახლა ჩვენთან ცოტა როდია ისეთი რაზმები, სადაც ყველა პიონერი წარჩინებით სწავლობს და კარგად უთავსებს სწავლას საზოგადოებრივ საქმიანობას.

ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში რესპუბლიკის კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობის კიდევ ბევრი სხვა მნიშვნელოვანი საკითხი იქნა გაშუქებული.

საანგარიშო მოხსენების ირგვლივ გაცხოველებული კამათი გაიშალა. კამათში გამოსული დელეგატები ლაპარაკობდნენ თავიანთი რაიონის, ქალაქის თუ ოლქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდების მიერ მოპოვებულ წარმატებებზე.

ყრილობაზე თავიანთ გამოსვლებში საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. შადურმა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ვ. კოჩემასოვმა საქართველოს კომკავშირის ორგანიზაციების წინაშე მთელი რიგი კონკრეტული ამოცანები დააყენეს.

საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარდა. მან ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საქართველოს კომკავშირი, აღზრდილი დიდი სტალინის ერთგული თანამებრძოლის ლ. პ. ბერიას მიერ ბოლშევიზმის გმირულ ტრადიციებზე, საქმით ამართლებს მასზე დაკისრებულ ამოცანებს, გვერდში უდგას სახელოვან კომუნისტურ პარტიას და ღირსია იმ ნდობისა, რომელსაც იჩენს ლენინური კომკავშირისადმი ბოლშევიკური პარტია, ახალგაზრდობის ბრძენი მასწავლებელი, ხალხთა დიდი ბელადი მშობლიური **სტალინი.**

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც საქართველოს კომკავშირული ორგანიზაციების სამოქმედო საბრძოლო პროგრამას წარმოადგენს.

ყრილობამ დიდი აღფრთოვანებით მიიღო ხალხთა დიდი ბელადის, მშვიდობის მეედროშის, ამხანაგ სტალინისადმი მისასალმებელი წერილი.

მისალმება გაეგზავნა აგრეთვე ქართველი ხალხის სახელოვან შვილს, ლენინის ერთგულ მოწაფეს, სტალინის უახლოეს თანამებრძოლს, გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეს ამხანაგ ლ. პ. ბერიას. მისალმება გაეგზავნა საქართველოს ახალგაზრდობის მეგობარს და აღმზრდელს, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელს კ. ნ. ჩარკვიანს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ნ. ა. მიხაილოვს.

**შ. თათარაშვილი**
საქართველოს ალკკ ცენტრალური
კომიტეტის მდივანი

## პიონერების სიტყვა საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობაზე

მეთვრამეტე ყრილობას
ვაძლევთ მტკიცე პირობას:

სახლში, რაზმში, სკოლაში
ვიყოთ დაუძრახველი,
ღირსეულად ვატაროთ
პიონერის სახელი!

მეთვრამეტე ყრილობას
ვაძლევთ მტკიცე პირობას:

სულ ხუთებზე ვისწავლოთ,
(ჩვენ ხომ სწავლა გვწყურია),
რომ სტალინმა შეგვაქოს,
გვითხრას: — ჩინებულია!

მეთვრამეტე ყრილობას
ვაძლევთ მტკიცე პირობას:

არ ჩამოვრჩეთ ცხოვრებას,
თუგინდ ერთი წამითაც.
შევისწავლოთ რუსული
და ქართული დავიცვათ.

მეთვრამეტე ყრილობას
ვაძლევთ მტკიცე პირობას:

დავეხმაროთ უფროსებს,
ჩვენი გარჯაც ვაჩვენოთ.
ამ პატარა ხელებმაც
კომუნიზმი ავშენოს!

**იოსეგ ნოდეშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჩიხელ პიონერს

გახსოვს დეკემბრის დილა სისხამი,
ძთებზე ქათქათა თოვლის თავშალი
და გორის ციდან სხივთა ცინცხალი
მიწის გულპირზე გადმონაშალი;

გახსოვს იმ წუთის მაღალი განცდა,
ჩვენი ნამდვილი ძმობის მოთავე,
ჩვენ რომ შევიტკბეთ ბელადის სახლთან,
სტალინის სახლთან — გორში ორთავემ.

უცებ მივუხვდით ერთიმეორეს,
მაგრამ ვიგრძენით მცირედი წყენა:
შენ არ იცოდი ჩემი ქართული
და მე კი შენი სამშობლო ენა.

მიხველ ბელადის სურათთან მაშინ
და გიბრწყინავდა სიამით თვალი,
მერე შეჩერდი... და ხელთა გაშლით
წამოიძახე მთელი ხმით: — სტალინ!

ამ ერთი სიტყვით რამდენი ითქვა,
ო, რამდენის თქმა კიდევ შევძელით,
ეს იყო ჩვენი აზრი და სიტყვა,
პიონერული ფიცი დღეგრძელი...

ვიცი, დღეს შენს ბედს თვითონვე მართავ,
და შენს ცხოვრებას აღარ ემდური,
რომ ახალ ჩინეთს ძლიერს და მართალს
წინ მიუძღვება მაო-ძე-დუნი...

დე, სიხარულის ეშხით ლომობდეს
ჩვენი ალალი, წმინდა გულები,
ძმები ვართ, ძმებად დავრჩეთ ბოლომდე
სტალინის სახლთან შეფიცულები.

ჯანსულ ნიქაბაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

როსტომ ზაქანიშვილი

## მოთხრობა

ნახ. ვ. ბელეცკაიასი

სდუმდნენ მთები. მათი გახრიოკებული ფერდობები თოვლს დაეფარა.

გეძოზე ბარდნიდა. ფართო, ხელისგულისოდენა ფანტელები ყვავილის ნექტრით გაბრუებულ პეპლებივით ფარფატებდნენ ჰაერში და მერე ეცემოდნენ გათოშილ მიწაზე.

ნაპრალები ზვავებს ამოეხერგა.

ბილიკები დაკარგულიყო. თოვლის განუწყვეტელ ცვენას გაეჩუქებინა ყველაფერი.

გელა არაბული დინჯად მიარღვევდა თოვლს.

მის ნაკვალევს თოვლის ფანტელი უმალვე ჰფარავდა, ავსებდა.

თვრამეტი თებერვლის დილა თენდებოდა. გელა არაბულს წინა დღით შეუსრულდა თვრამეტი წელი. დღეს, სამშობლოს ღირსეული ადამიანებისათვის, როგორც ყველას, მასაც ხმა უნდა მიეცა. უთენია წამოდგა არაბული. მგლის მუხლი ჰქონდა ყმაწვილს, ალმართში კურდღლის სიმარჯვე, ჯიხვის შეუპოვრობა.

ტოლებთან დანიძლავდა გელა. ვინ უფრო ადრე მივიდოდა საარჩევნო უბანში და პირველი მისცემდა ხმას. ოჩიაური და მგელიკაური გამოეპაექრნენ: ზვავების შიში დაგჯაბნისო, — უთხრეს.

სცდებოდნენ ბიჭები, ასეთ თოვაში ბევრჯერ ყოფილა გელა სანადიროდ...

შუაღამე ახალი გადასული იყო, რომ წამოდგა არაბული. ფეხსაცმელს ერბო წააგლისა. სინესტეს რომ არ შეეყონა მიგ. კომბალს ხელი წამოავლო და შეჰყვა გზას. ტყუილად აშინებდნენ მეგობრები: ზვავები არსად იყო. მხოლოდ თოვლი ბარდნიდა... გემოზე, ბარაქიანად.

ღამის სიბნელემ და მთების უსაზღვროებამ ბავშვობა მოაგონეს არაბულს. ახლა უკვე მარტო აღარ იყო, — თანამგზავრებად ფიქრები აედევნენ.

* * *

თითის სიგრძე ბალღი საარჩევნო წითელ ყუთთან მისვლას ნატრობდა. პაპა ზურაბი დასტუქსავდა ხოლმე, როცა გაჭირვეულებული ყმაწვილი ტიტინით აიკლებდა იქაურობას.

— დაჩუმდი, თორემ მგლის ხროვას მივცემ შენს თავს შესაჭმელად, — ეტყოდა წარბშეჭმუხვნილი და ბუხარზე კომბალს მიაკაკუნებდა, თითქოს ნიშანს აძლევდა მგლებს, მოდით და წაიყვანეთო.

გელა მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა დაშოშმინებას, შეშინებული აქეთ-იქით ყურებას.

მთაში მგელი დაუძინებელი მტერია პირუტყვისა. როგორც კი ჩამოჰყრის პირველ თოვლს, დაზამთრდება თუ არა, დიდი და პატარა დღეში ასჯერ მაინც ახსენებს მის სახელს.

ამიტომ ეტყოდა თუ არა პაპა ზურაბი: — დაჩუმდი, თორემ მგლის ხროვას მივცემ შენ თავს შესაჭმელადო, — მაშინვე ხმას ჩაიკმენდდა შეშინებული ბალღი.

მაგრამ ცნობისმოყვარეობა მაინც სძლევდა და ეკითხებოდა უფროსებს:

„რატომ მიდიხართ ყველანი წითელ ოთახში?“

„რატომ არის ყუთი წითელატლას შემოვლებული?“

„რად ჰყრით ქაღალდებს შიგაო?“

პაპა ზურაბიც, თუ კარგ გუნებაზე იყო, დინჯად შეჰყვებოდა შვილის შვილიშვილთან მასლაათს და ცდილობდა აეხსნა დაუდეგარ ყმაწვილისათვის, რად ხდებოდა ეს ყველაფერი.

გელა არაბული დიდად ნაწყენი და შეურაცხყოფილი რჩებოდა, „წითელ ოთახში“ რომ არ წაიყვანდნენ ხოლმე, და როგორც კი გაიკრიფებოდნენ უფროსები სახლიდან, ბებიასეულ პატარა სკივრს ენდროთი შეღებავდა და თაგვების კბილით ამოხრულ ნახვრეტიდან ქაღალდებს ჰყრიდა შიგ.

ეს იყო დიდი ხნის წინათ.

მას შემდეგ გელა სკოლაში მიაბარეს. ანაბანა ისწავლა. ბუნების ავი და კარგი გაიგო.

დარწმუნდა, მგელი არც ისეთი საშიში ყოფილა, როგორადაც მას ჰყავდა წარმოდგენილი.

გავიდა დრო.

გელა წამოიზარდა.

პიონერთა რიგებში მიიღეს. პიონერრაზმის კედლის გაზეთი ჩააბარეს. დააწინაურეს.

პაპა ზურაბიც დინჯად შეჰყვებოდა შვილის შვილიშვილთან მასლაათს.

ხაფხულობით პიონერები ბანაკად მიდიოდნენ. წიაღისეულ სიმდიდრეებს ეძებდნენ. მცენარეებს აგროვებდნენ. ბუნების სულსა და გულს სწავლობდნენ. ზამთრობით თბილ საკლასო ოთახებში გულმოდგინედ მეცადინეობდნენ. ყოველი ახალი წელი, ახალი ფურცელი იყო გელას ცხოვრებაში. ახალი სახელმძღვანელო, ახალი საგანი მისთვის ჯერ უცნობი ცხოვრების მხარეებში ახედებდა.

პიონერთა რიგებში მუშაობამ უფრო მეტი ასწავლა, მეტი გააგებინა ამქვეყნიური. ახლა უფრო სანატრელი გახდა მისთვის საარჩევნო ყუთთან მისვლა. პაპა ზურაბს აღარ ეკითხებოდა გელა არაბული „წითელი ოთახის“ შესახებ. პირიქით: შვილის შვილიშვილი გულდასმით ესაუბრებოდა ბატონყმობის დროს დაბადებულს და კომუნიზმის კარიბჭესთან მისულ ასი წლის ზურაბს კონსტიტუციაზე.

პიონერობას კომკავშირი მოჰყვა. საშუალო სკოლის უკანასკნელი წლები, ტკბილი, ჯანსაღი ჭაბუკობა. კომკავშირის კრებები... გაზეთები... კინო, საზოგადოებრივი საქმიანობა.

ბევრი კარგი დღე ახსოვს გელას, ბევრი მშვენიერი და ნათელი დღე. ის დღე კი, თბილისის პიონერთა სასახლეში რომ გაგზავნეს პიონერ-მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების წასაკითხად, არასოდეს დაავიწყდება. გელა ძლიერ ღელავდა. მას ამოდენა დარბაზი, უამრავი ელექტრონათურებით გაჩახჩახებული, არასოდეს ენახა. არც ამდენი პიონერმოსწავლე. მხიარული სახეები. საქმიანი საუბარი.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ გელა თბილისელმა მეგობრებმა ქალაქის დასათვალიერებლად წაიყვანეს. ყველაფერი მოეწონა თბილისში გელას, ყველაფერი — ფართო ქუჩები, ლამაზი, მრავალსართულიანი სახლები, პარკები...

ახლა გელა თვრამეტი წლისაა. ნაოცნებარი სინამდვილედ იქცა. ნატვრა აუსრულდა: უკვე არჩევნებში ღებულობდა მონაწილეობას.

მთის ფერდობზე დადებულ თოვლს დინჯად მიარღვევდა. თოვლი კვლავ ბარაქიანად ბარდნიდა. გელა სიცივესა და თოვას ყურადღებას არ აქცევდა. იგი ფიქრებში იყო გართული. გონებაში ეხატებოდა წითელატლასშემოვლებული ყუთი, რომელშიც მას საარჩევნო ბიულეტენი უნდა ჩაეშვა.

წინა დღით გელა „ახალგაზრდა გვარდიას“ კითხულობდა. დროდადრო ამ წიგნის

ძველვარე სტრიქონები გაუელვებდნენ გონებაში. გმირი ოლეგისა და მისი მეგობრების ნათელი სახეები ხშირად გადაურბენდნენ თვალწინ.

არაბული თავაწეული, თვალებგაბრწყინებული მიდიოდა საარჩევნო უბნისაკენ.

ხმა ბექაურისათვის უნდა მიეცა. მან ხომ ყველგან ისახელა თავი. გრიგალში იყო, ბრძოლის გმირი გახდა! შრომაში ბადალი არა ჰყავს.

ბექაური ყველას უყვარს მთაში.

სულით ძლიერი და უბრალო ადამიანია. ბევრი ქვეყანა აქვს მოვლილი. მისი მამა ხევსურეთს არ გასცილებია, შვილი კი დამარცხებულ ფაშისტურ ბერლინში გამარჯვების ვაშას ძახილით შევიდა. ბერლინიდან გამობრუნებული შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალისტ იაპონელებს ებრძოდა და პორტ-არტურამდე მივიდა.

ახლა ბექაური ხევსურეთში კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, ხალხისათვის ზრუნავს, ყველა ადამიანის ავისა და კარგის გამგებია. ამიტომაც დაასახელეს ჩვენი ქვეყნის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

გელა ღობეშემოვლებულ ეზოში შევიდა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა: ეგონა, საარჩევნო უბანში პირველი თვითონ მივიდოდა, მაგრამ აი, უბანში აუარებელ ხალხს მოეყარა თავი.

დღეობა ეგონებოდა კაცს. ტამ-ფანდური, ცეკვა-თამაში. ახალგაზრდების სიცილ-კისკისი. ხანში შესულთა დარბაისლური მასლაათი.

გელამ სანაძლეო წააგო: ოჩიაურსა და მგელიკაურს უკვე მიეცათ ხმა.

გელა ილიჩის ნათურებით აბდღვრიალებულ დარბაზში შევიდა.

საარჩევნო ყუთთან ბიულეტენს დახედა. ერთხანს უყურა, მერე მოკეცა და ყუთში ჩაუშვა.

დარბაზიდან გაღიმებული გამოვიდა.

სუფთა ჰაერი ხარბად შეისუნთქა. ხალხში შეერია. ტოლებს გაესაუბრა.

აგერ ოლეგ კოშევოის სპეტაკი სახე კვლავ თვალწინ დაუდგა.

„მას რომ არ დასცალდა თვრამეტ წლამდე სიცოცხლე! — გაიფიქრა გელამ, — სამშობლოს ღირსეულ ადამიანებს ვერ მისცა ხმა... სამაგიეროდ... სამშობლოს სიცოცხლე მისცა“.

მყინვართა მწვერვალებიდან ცივი ქარი ამდგარიყო. ნაძვერებს მოერეკებოდა. აღმოსავლეთით შეთხელებულ ღრუბლებიც მზემ გადმოიხედა. ულაზათოდ თოვდა.

გელამ მიდამოს თვალი მოავლო. ეზოში, შუა ადგილას, მაღალ კვარცხლბეკზე ბელადის მონუმენტი დგას.

მონუმენტი მთელი სიდიდით გადაჰყურებს კავკასიონის ცადაზიდულ გოლიათებს.

მზის სხივებში არეული თოვლის ცელქი ფიფქები მონუმენტის გარშემო მომხიბლავად ფარფატებდნენ.

გელა არაბულმა კარგა ხანს უცქირა მზით განათებულ ბელადის მონუმენტს. თვალებში სიხარულის ჭიაკოკონები აენთნენ. გული აუჩქროლდა. ფიქრის მოსმენა რომ შესაძლებელი იყოს, მახლობლად მდგომი ადამიანები გაიგონებდნენ გელას გულის ხმას:

„საყვარელო ბელადო! სიხარულით მივეცი ხმა შენს დიდებას, სამშობლოსა და შენს ბედნიერებას! მაგრამ, თუ ჩვენს ლაჟვარდში სვავები კვლავ გამოჩნდნენ, სიცოცხლესაც დაუნანებლად მივცემ შენს დიად საქმეს!“

გელა არაბულმა კარგა ხანს უცქირა მზით განათებულ ბელადის მონუმენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ეროვნული საყართველოს ნიჭიერი ბავშვები

ქართველ ბავშვებს შექმნილი აქვთ ბეჯითი სწავლის, შინაარსიანი დასვენების, ნიჭისა და უნარის ყოველმხრივი გაფურჩქვნის ყველა პირობა. რესპუბლიკა მოფენილია სასწავლებელთა ფართო ქსელით. 4.289 დაწყებითს, რვაწლიან და საშუალო სკოლაში 716.108 ბავშვი სწავლობს. მათ განკარგულებაშია ფართო, ნათელი საკლასო ოთახები, მდიდარი კაბინეტ-ლაბორატორიები, კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზები და მოედნები. პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე და სახლები, ნორჩ ტექნიკოსთა და აგრობიოლოგიური სადგურები, ბიბლიოთეკები, საბავშვო თეატრები და რკინიგზა, აძიერკავკასიის რკინიგზის ბავშვთა მხატვრული აღზრდისა და პროპაგანდის სახლი. ზაფხულის წარმტაც დღეებს მოსწავლეები ატარებენ მომხიბლავ აგარაკებზე გაშენებულ პიონერთა ბანაკებსა და სანატორიუმებში, მოგზაურობენ მშობლიურ მხარეში.

საინტერესო და მრავალფეროვანია ქართველი ბავშვების ყოველი დღე; გატაცებით ეწაფებიან ისინი ცოდნას. მრავალი მათგანი ხუთოსანისა და ოთხოსანის საამაყო სახელს ატარებს. მარტო გასულ სასწავლო წელს საქართველოს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა შორის 1016-მა გოგონამ და ვაჟმა ოქროსა და ვერცხლის მედალი დაიმსახურა.

ბავშვები როდი კმაყოფილდებიან მარტო გაკვეთილებზე მიღებული ცოდნით. ისინი ხალისით მუშაობენ საგნობრივ წრეებში, სკოლისგარეშე დაწესებულებებში.

პიონერთა უსაყვარლესი ადგილია ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლე. აქ ფართოდაა გაშლილი ინდივიდუალური მუშაობა ნიჭიერ ბავშვებთან. 64 სხვადასხვა სახის წრეში 7.000-მდე მოსწავლეა გაერთიანებული. სასახლეში ტრადიციად იქცა მოსწავლეთა სასწავლო სამეცნიერო-ტექნიკური კონფერენციების ჩატარება. 1950 წლის ნოემბერში მიმდინარეობდა მორიგი მე-6 რესპუბლიკური კონფერენცია. კონფერენციის შემაჯამებელ სხდომებზე გამოტანილი იქნა 159 შრომა. განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურეს თბილისელი მოსწავლის ლალა ვარაზანაშვილის მოხსენებამ—„სტალინი — პირველმაისობათა ორგანიზატორი“. გორელი მოსწავლის ვაჟა კვალიაშვილის მოხსენებამ „ჩემი საცდელი ნაკვეთი“ და სხვ.

საქართველოს ბავშვები დიდ ინტერესს იჩენენ ტექნიკის დაუფლებისადმი. მათ განსაკუთრებით უყვართ ფიზიკა, ქიმია, მათემატიკა. ვინ მოსთვლის რამდენი რთული

ხელსაწყო ააგეს თავიანთი ძარჯვე ხელებით ტექნიკის ნორჩმა მოყვარულებმა! ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის ხელძღვანელობით გასულ წელს ჩატარებულ ნორჩ ფიზიკოსთა და ქიმიკოსთა ოლიმპიადაში16.000 ბავშვი მონაწილეობდა. რესპუბლიკურ კონკურსში „ნორჩ ტექნიკოსთა დახმარება სკოლებს" 7.500-ზე მეტი მოსწავლე ჩაება. 780 საუკეთესო ნაძუშევარი წარმოდგენილი იქნა გამოფენაზე. საინტერესო ხელსაწყოები ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტებისათვის, მოდელები, მაკეტები გააკეთეს ბავშვებმა. პირველი პრემია დაიმსახურეს ვაჟთა მე-15 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ო. თოდრიამ, შ. ფუტურიძემ და გ. მაკაბერიძემ. მათ გააკეთეს მოქმედი მაკეტი — „ელექტროენერგიის გამოყენების ხერხები ტექნიკასა და ცხოვრებაში; თბილისის ვაჟთა მე-11 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ა. მანჯგალაძემ და ა. წერელოვმა მოლაპარაკე საათი გააკეთეს.

ორჯონიკიძის რაიონის კიცხის საშუალო სკოლის მოსწავლე რ. გუგუაშვილმა ააგო პატარა ელსადგური ლახუნდარას ღელეზე.

რესპუბლიკის პიონერებს შორის ფართოდ გაიშალა ნორჩ მიჩურინელთა მოძრაობა. ბავშვების მიერ გაშენებულმა ბაღ-ვენახებმა კიდევ უფრო დაამშვენეს მზიური საქართველოს მიდამოები. მოსწავლეებმა უკანასკნელი 3 წლის მანძილზე ერთ მილიონზე მეტი სხვადასხვა მცენარე დარგეს.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცილდა დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლის ნორჩ მიჩურინელთა სახელი. ნორჩ მებაღეთა საკავშირო კონკურსში მათ გამარჯვება მოიპოვეს. ჭოპორტელმა ბავშვებმა 24.101 ძირი სხვადასხვა მცენარე დარგეს. 2 ჰექტარზე გააშენეს ფიჭვნარის მარადმწვანე ტყე. შრომისმოყვარე ბიჭუნებმა და გოგონებმა აყვავებულ ბაღნარად გადააქციეს სასკოლო ნაკვეთი. გამოიყენეს ვაშლის, მსხლის, ატმისა და სხვა ხილის ახალი ჯიშები, გააშენეს თვალწარმტაცი ყვავილნარი.

მიჩურინის ამ ნორჩ მიმდევრებს არც მაიაკოვსკელი პიონერები ჩამორჩნენ. გასული წლის შემოდგომაზე მათ თავიანთი პიონერული ვენახიდან პირველი ბარაქიანი მოსავალი მიიღეს.

როცა მთა-ბარს თოვლის საბურველი მოსცილდება და არემარეს გაზაფხულის სურნელი მოეფინება, პატარები საკოლმეურნეო ველ-მინდვრებს ხალისით მიაშურებენ ხოლმე, მეცადინეობისაგან თავისუფალ დროს უფროსების მხარდამხარ შრომობენ.

ბეჯითი სწავლითა და სახელოვანი შრომით სამშობლო ასახელა ქობულეთის რაიონის, სოფელ ბობოყვათის საშუალო სკოლის მოსწავლე ნათელა ჩელებაძემ. 1948 წელს გოგონას ნახევარი ჰექტარი ჩაის პლანტაცია ჩააბარეს. თავაუღლელივ მუშაობდა აქ გაკვეთილების შემდეგ ნათელა. დაბარა, დაფარცხა, ფოსფორი შეიტანა ნიადაგში. მონდომებულმა შრომამ სასურველი ნაყოფი გამოიღო. ნორჩმა მეჩაიემ ამ ნაკვეთზე 6.750 კილოგრამი მაღალი ხარისხის ჩაის მწვანე ფოთოლი მოკრიფა. ასეთი წარმატებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი მიენიჭა. გმირი გოგონა მიღწეული წარმატებებით არ დაკმაყოფილდა, იგი ახლაც წარჩინებით სწავლობს, აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევა და წარმატებით შრომობს.

ბეჯითი სწავლისა და შრომისმოყვარე გოგონებსა და ბიჭებს ხალისიანი, სიცოცხლით სავსე დასვენებაც უყვართ. სასკოლო სპორტულ სექციებში გულმოდგინე მეცადინეობის შედეგად, სისტემატური ვარჯიშით სახელმოხვეჭილი გახდა მრავალი ახალგაზრდა. მშობლიური სკოლის სპორტულ



რ. გუგუაშვილი ნახაზებზე მუშაობის დროს.

ვ. კვალიაშვილი მე-6 რესპუბლიკურ სასწავლო-სამეცნიერო ტექნიკურ კონფერენციაზე კითხულობს მოხსენებას.

ეს რკინიგზა პირველი საბავშვო რკინიგზა მსოფლიოში, [illegible] ყობის იდეა თბილისელ პიონერებს ეკუთვნით. საბავშვო რკინიგზას მოზრდილთა მეთვალყურეობით ბავშვები მართავენ.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს ყოველი მხრიდან ჩამოსული ნორჩი სტუმრები ყოველთვის დიდი ინტერესით ეცნობიან საბავშვო რკინიგზის საქმიანობას. ასეთი სტუმრები კი იშვიათი როდია.

ქართველ ბავშვებს მტკიცე მეგობრული ურთიერთობა აქვთ თვალუწვდენი საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხის ბავშვებთან. ყოველ დილით ფოსტას ათასობით წერილი მოაქვს ქართველ პიონერებთან. განსაკუთრებით დიდია ბავშვების ინტერესი ბელადის სამშობლო ქალაქ გორისადმი. გორელ პიონერებს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვთ დამყარებული მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, ხარკოვის, ერევნის, ბაქოსა და სხვა ქალაქების პიონერებთან. მათ ხშირად სწერენ ახალი დემოკრატიული ქვეყნების ბავშვებიც. ამასწინათ გორში მიიღეს საპასუხო წერილი პეტროზავოდსკის მოსწავლეებისაგან. ბავშვები მადლობას უძღვნიან გორელ მეგობრებს, რომლებმაც წერილთან ერთად მათ ყვავილების თესლები გაუგზავნეს. პეტროზავოდსკელმა პიონერებმა ყვავილნარი გააშენეს და მას „გორელ პიონერთა ბაღი“ უწოდეს.

განსაკუთრებული გულთბილი მეგობრობა აქვთ გორელ და ულიანოვსკელ პიონერებს. რევოლუციის ორი დიდი გენიოსის—ლენინისა და სტალინის მშობლიური ქალაქების პიონერები დიდი ხანია მეგობრობენ ერთმანეთს.

ასე ცხოვრობენ, სწავლობენ და შრომობენ მზიური საქართველოს ბედნიერი ბავშვები. მრავალერიან დიდ საბჭოთა ოჯახში ვაუკაცდებიან კომუნიზმის მომავალი მშენებლები, მშვიდობისმოყვარე, გმირი ხალხის ბედნიერი შვილები.

**ი. ალექსიშვილი, ბ. საჩინელი**

მოედანზე ჩაეყარა საფუძველი მოსწავლეების — სპორტის ოსტატ ნ. ხნიკინას, მ. გეგეშიძის, ლ. კოკაიას და სხვათა წარმატებებს. ნორჩმა ფიზკულტურელებმა საკავშირო შეჯიბრებაზე სასახელოდ დაიცვეს რესპუბლიკის ღირსება. ქალაქ გორკში ჩატარებულ საკავშირო შეჯიბრებაზე საქართველოს მოსწავლე ქალთა კალათბურთელების გუნდმა პირველი ადგილი დაიკავა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო სახელი მოიპოვა და საკავშირო თასი მიიღო თბილისის ვაჟთა 35-ე საშუალო სკოლის ფეხბურთელთა გუნდმა.

მხნე, ჯანსაღი ნორჩი თაობის საყვარელ საქმედ იქცა სამშობლოს თვალწარმტაც მიდამოებში მოგზაურობა. ნორჩი მოლაშქრეები იპყრობენ ახალ მწვერვალებს, ეცნობიან ისტორიულ ადგილებს, სტალინური ხუთწლედების ახალ მშენებლობებს, ადგენენ ჰერბარიუმებსა და კოლექციებს, აგროვებენ ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, იღებენ ფოტოსურათებს, აკეთებენ ჩანახატებს. 1950 წელს 2.280 პიონერული რაზმი მოგზაურობდა. მათში 54.960 მოსწავლე იყო გაერთიანებული. დიდი ბელადის სახელთან დაკავშირებულ ადგილებში, სტალინური მარშრუტით, იმოგზაურეს თბილისის, გორის, ქუთაისის, ბათუმის, სოხუმის, ჭიათურის პიონერებმა.

საქართველოს ბავშვებს მრავალ სხვა კულტურულ გასართობთან ერთად მოამაგე სამშობლომ საბავშვო რკინიგზაც მოუწყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მტკვრის სათავისკენ

გიორგი შაბერაშვილი

[ნახ.' გ. როინიშვილისა]

**მოთხრობა***

## მერცხალა ტყვეობაში დარჩა

პიონერმა გოგიმ ბანაკში მერცხალას ცოცხლად წამოყვანა გადასწყვიტა. ამიტომ იგი წყლით სავსე შუშის ქილაში ჩასვა. გოგის ამხანაგებმა კი სხვა წვრილ თევზებთან ერთად ჭიჭყინა და წინწკალა ისევ მტკვრის ტალღებს დაუბრუნეს.

გადარჩენილი კალმახები მალე გამოცოცხლდნენ და დარანებისაკენ გაეშურნენ.

მერცხალა ტყვეობაში დარჩა.

✪

„საცოდავი, უბედური მერცხალა, ნუთუ სამუდამოდ დავცილდით ერთმანეთს, ნუთუ დაიღუპა?“ — ფიქრობდა წინწკალა და ჭიჭყინასთან ერთად მტკვრის ტალღებს სწრაფად მიაღწევდა. იგი დარანებისაკენ მიისწრაფოდა, ფიქრობდა უშიშასთან შეხვედრაზე და გული თან სიხარულით, თან იდუმალი შიშით უთრთოდა.

ნეტავ რას იტყვის უშიშა, ნეტავ როგორ შეხვდება მათ, აპატიებს თუ არა დანაშაულს?

რამდენჯერ სიამოვნებით უსრიალიათ ასეთ ღამეში ჩვენს პატარებს მერცხალასთან ერთად. ახლა კი ისინი სულგანაბულნი მიცურავდნენ, მათ თვალს აღარ იზიდავდა ელვარე, სავსე მთვარე, რომელიც მდინარის ზედაპირს აბრჭყვიალებდა, ჭალები გაეშუქებინა და ამაყად გადმოჰყურებდა ქვეყანას.

ასეთ ღამეში უყვარდა უშიშას სანადიროდ კალმახების გამოყვანა. ასეთ ღამეში უფრო ლამაზი და მიმზიდველია მთვარის მომჯადოებელი შუქით გაბრწყინებული ხეობა.

აგერ ნაცნობი ვერხვიც გამოჩნდა. ჭიჭყინას და წინწკალას კვლავ აუცახცახდათ გული. თვალწინ უშიშას მრისხანე სახე დაუდგათ. ფრთები მოუდუნდათ, სული შეანელეს.

მოულოდნელად მთვარის შუქით განათებულ მდინარის სივრცეში კალმახის ლანდს მოჰკრეს თვალი. ფრთხილად გადაუხვიეს, ლოდს მიეფარნენ და დააყურადეს.

უცნობი კალმახის ლანდი საოცარი სისწრაფით, გმინვითა და ქშენით გაქანდა და წყალში ჩაშვებულ ლოდს თავით დაეჯახა. დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ კალმახი უკან გადმოვარდა. ანკარა წყალს სისხლი შეერია. გაისმა გულსაკლავი კვნესა. კალმახებს შეაკრთოლათ, ეს ხომ მორბედას ხმა იყო.

წინწკალა ადგილს მოსწყდა და მორბედასკენ გაეშურა. საკუთარი სისხლით შეღებილ წყალში აფართხალებულ კალმახს ხმაური რომ შემოესმა, არც მიუხედია, ფრთები შეათამაშა, სწრაფად შეინავარდა და თვალს მიეფარა.

ჩვენი კალმახები მორბედას ჩამუქებულ ლანდს დაედევნენ.

* გაგრძელება. დასაწყისი იხ. „პიონერის“ № 1-ში.

# მორბედა

უშიშასაგან განკიცხული მორბედა დარანიდან ისე გამოვიდა, რომ არავისთვის შეუხედავს, არავის გამოსთხოვებია. მთელი ტანი მოშვებული ჰქონდა, ღონეწართმეულ ფრთებს მძიმედ ამოძრავებდა, ტალღების ქანაობას აყოლილი მიცურავდა, თვითონაც არ იცოდა საით უნდა წასულიყო, რომელი მხარისაკენ აეღო გეზი. მერე ისიც ახლა, როცა კალმახთა მოგზაურობის დრო დგებოდა, როცა კალმახი კალმახს დაეძებდა, უმეგობრდებოდა, როცა ირგვლივ აუარებელი ონავარი მტერი ირეოდა.

რაღა სწორედ ახლა დაემართა ეს უბედურება. ვის შეეკედლოს, ვინ დაიძმობილოს. სადღა შეხვდება ასეთ მძლავრ ქარავანს?

მდინარეში სამარისებური სიწყნარე სუფევდა. ხანდახან, შორეული ჭაობიანი ნაპირებიდან მოესმოდა ბაყაყების მოსაწყენი ყიყინი.

მთვარე აშუქებდა ქვეყანას. მომხიბლავი, თვალისმომჭრელი სხივები ეშვებოდნენ მდინარეში. ხან ოქროსფრად, ხან ვერცხლისფრად აბრჭყვიალებდნენ აკამკამებულ ტალღებს. თავისკენ იწვევდნენ მორბედას. მაგრამ განდევნილ კალმახს ბუნების სიმშვენიერე აღარ იტაცებდა. უთრთოდა გული, უთრთოდა მთელი ტანი. პატარა ხომ აღარ იყო, რომ ცხოვრება თავიდან დაეწყო. ათი გაზაფხული ენახა, სიბერეში შედიოდა. კალმახი იშვიათად ძლებს ამდენ ხანს, უფრო ხშირად იგი თავისი ცხოვრების პირველ ორ-სამ წელსვე იღუპება.

მორბედა ფრთხილი კალმახი იყო, იგი უშიშას თვალწინ დავაჟკაცდა. უშიშა ხუთიექვსი გაზაფხულით ადრე იყო დაბადებული და მორბედას სრულიად პაწაწინას შეხვდა. მოეწონა ეს მარჯვე, მკვირცხლი ახალგაზრდა კალმახი და თავის უზარმაზარ ქარავანში ჩარიცხა. სასწრაფო და სახიფათო საქმის ასრულება ყოველთვის მორბედას ხვდებოდა ხოლმე წილად. დაუზარებელი კალმახი მთელი ქარავანის თვალი იყო.

მაგრამ, შარშან ორაგულთან ბრძოლაში მორბედას მარცხენა თვალი დაუზიანდა. ამ თვალით საგნებს ძლივსღა არჩევდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა დაქანცებოდა. მორბედა ამტანი და უთქმელი კალმახი იყო, იგი არავის უმხელდა თავის უბედურებას. მისი სატკივარი არავინ იცოდა.

დღესაც, მთელი დღის ნავარდით მოქანცულს ძველი ჭრილობა აწუხებდა. რამდენჯერმე დააპირა დარანში შესვლა და ვერხვის ხავსიან ფესვებში დაძინება, მაგრამ პატარა, მეტიჩარა კალმახების ყურადღებამ, რომლებიც მას უშიშამ ჩააბარა.

„ვინ იცის, საით გაჰყვებიან მდინარის ტალღებს, ვინ იცის რა საფრთხე ემუქრებათ? აკი უშიშამაც გააფრთხილა წეღან ამის გამო“, ფიქრობდა იგი.

ჰო და, განა რამეში იყო დამნაშავე მორბედა?

სულ ორი წამით მოაშორა თვალი ცელქებს, სულ ორი წამით, და ხედავთ რა მოხდა?

რაღა მერცხალას დაემართა ეს ფათერაკი, მას ხომ მთელი ქარავნის იმედათ თვლის უშიშა.

უშიშა ასე გაცოფებული დიდი ხანია არავის უნახავს.

დარანში მომხდარი ამბის შემდეგ ამგვარი მწარე ფიქრებით მოცული მორბედა უგეზოდ მიიკვლევდა გზას. ერთი ორჯერ შეჩერდა, მდინარის თვალუწვდენ სივრცეს გაჰხედა. ამაო იყო ძებნა. ალბათ მერცხალა ნამდვილად ბადეს მოჰყვა.

იშვიათად უნახავს მორბედას ბადეს მოყოლილი კალმახი მდინარეს დაბრუნებოდეს. ამაოა, ამაო თავის მტვრევა და ხეტიალი.

უცნაური, აქამდის განუცდელი სურვილი დაებადა მორბედას. მოუნდა, აგერ იმ სიპ ქვას შესჯახებოდა თავით, მოუნდა მძიმე ტკივილი ეგრძნო, ისეთი ტკივილი, რომელიც გრძნობას დაუკარგავდა. თვალებს სამუდამოდ ჩაუქრობდა.

იგი წელში რკალივით მოიღუნა, მთელი ძალ-ღონით გასხლტა და მთვარის სხივით

მორბედა ლოდისკენ შურდულივით გაქანდ

გაშუქებულ ლოდისკენ შურდულივით გაქანდა.

წამით ყველაფერი ჩაბნელდა ირგვლივ. მთვარის სხივიც გაჰქრა, ის ლოდიც, რომელსაც შეუბრალებლად მიანარცხა თავი... ყველაფერი, ყველაფერი წყვდიადმა შთანთქა.

რომ გამოფხიზლდა, დაინახა — საკუთარი სისხლით დაწინწკლოდა ლაყუჩები, ძლივსღა სუნთქავდა.

უცებ სულ ახლოს წინწკალას და ჭიჭყინას ლანდებს მოჰკრა თვალი. ვერ იცნო. ამაყი იყო მორბედა, გასაჭირში არავის ეჩვენებოდა. ღონე სწრაფად მოიკრიბა და ელვის სისწრაფით გაუჩინარდა.

## ისევ დარანში

მორბედა მიჰქროდა. გრძნობდა, რომ უკან ვიღაც მოსდევდა, სვლას უმატებდა, უკანასკნელ ძალას იკრებდა. მაგრამ ღონე მაინც აკლდებოდა.

სწორედ ამ დროს თავის გვერდით ნაცნობი ხმა გაიგონა:

— მორბედა, მორბედა, მოიცა!

მორბედა მობრუნდა. განა იგი ოდესმე წარმოიდგენდა, რომ ჭიჭყინას და წინწკალას კიდევ შეხვდებოდა! დიახ, მის გვერდით მართლაც ისინი მოჰქროდნენ, ეს მათი ხმა იყო, მათი ჩურჩული ჩაესმოდა ყურში.

— ჭიჭყინა, წინწკალა, თქვენა? — ეკითხებოდა განცვიფრებული მორბედა. თან უკან იხედებოდა, მისი თვალი მერცხალას დაეძებდა, უბედურებას გრძნობდა. მაგრამ კითხვა ვერ გაებედნა. პატარა კალმახებიც სდუმდნენ და მერცხალას არ ახსენებდნენ. მორბედასათვის თანდათან აშკარა ხდებოდა მერცხალას უბედურება.

— წავიდეთ, დარანში წავიდეთ, ყველაფერს იქ გიამბობთ!

თითქოს მორბედას გულს გაეპასუხაო, ისე თქვა ჭიჭყინამ.

— ეჰ, — ამოიოხრა მორბედამ — დღეის შემდეგ მე დარანს ვეღარ ვიხილავ... წადით, ბედი გქონიათ და ბედნიერი იყავით!

შეწუხებული ჭიჭყინა და წინწკალა ერთხანს უხმოდ მიცურავდნენ მორბედას გვერდით. ბოლოს ისევ მორბედამ ამოიღო ხმა:

— მე განკიცხული ვარ. დღეის შემდეგ ვეღარ მნახავთ ამ არემარეში. უშიშას განაჩენით მე თქვენს ქარავანს აღარ ვეკუთვნი... მშვიდობით!

— ეს ხომ ჩვენი ბრალია, შენ ხომ ჩვენს გამო დაუსჯიხარ უშიშას?!

— არაფერია... ალბათ ასეთი ბედი მქონია.

მთვარე ცაში მაღლა აიწია. მისი თვალთმაქცი სხივები მომჯადოვებლად დასთამაშებდნენ იმ მორევს, რომელშიც ჩვენი კალმახები ერთმანეთს თავის თავგადასავალს უამბობდნენ. პატარა კალმახები თავის დანაშაულს აღიარებდნენ, ევედრებოდნენ მორბედას დარანში დაბრუნებულიყო და მათთან ერთად უშიშას შევედრებოდა დანაშაულის პატიებას. მაგრამ მორბედას გადაწყვეტილება მტკიცე იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ უშიშას მისკენ გული აღარ მოუბრუნდებოდა.

— წადით, წადით... თუ გადავრჩი, ჩემს დანაშაულს როგორმე გამოვისყიდი! — უთხრა ბოლოს მან ახალგაზრდებს და უკან გაბრუნდა.

ჩვენი კალმახები დიდხანს, დიდხანს მწუხარედ გასცქეროდნენ მორბედას ჩრდილს, რომელიც მტკვრის ტალღებს უღონოდ მიაპობდა.

* * *

შუაღამე გადასული იყო, როცა ტყვედყოფილმა კალმახებმა დარანს მიაღწიეს. სანამ დარანს მიუახლოვდებოდნენ, ისინი მათ საძებნელად გამოსულ მოფუსფუსე კალმახთა ჯგუფს წააწყდნენ. კალმახების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ისინი აღტაცებით შემოეხვივნენ ტყვეობიდან დაბრუნებულებს, მხარში ამოუდგნენ და დარანეპისაკენ გაიტაცეს.

ჩვენი კალმახები სდუმდნენ, საოცრად მოწყენილნი და სახიფათო თავგადასავალი მოქანცულნი ხან განკიცხულ მორბედას იგონებდნენ, ხან ტყვეობაში მყოფი მერცხალა დაუდგებოდათ თვალწინ, ხანაც განრისხებულ უშიშასთან შეხვედრაზე ფიქრობდნენ.

დარანში დამყარებული სიჩუმე ჭიჭყინას და წინწკალას პოვნით გახარებული კალმახების ყიყინით შესვლამ დაარღვია.

წყლის ხავსში თავჩარგულმა უშიშამ თავი ასწია. მის წინ თავდახრილი კალმახები იდგნენ.

უშიშას თვალები წამით გააშუქა მრისხანე ელვამ, იგი ადგილს ისე მოსწყდა, ისე გამოქანდა, თითქოს მათი განადგურება უნდაო. მაგრამ ანაზდად შეჩერდა, თავს სძლია და ყრუ ხმით იკითხა:

— გადარჩით?

— გადავრჩით.

ხმის კანკალით, ერთხმად წამოიძახეს ჭიჭყინამ და წინწკალამ.

— მერცხალა, მერცხალა რაღა იქნა?

დარანში სამარისებური სიჩუმე დამყარდა. ყველა შიშისაგან დაპატარავებულ ჭიჭ-

ყინას და წინწკალას შეჰყურებდა. ისინი ვერხვის ფოთოლივით თრთოდნენ და ხმის ამოღებას ვერ ბედავდნენ.

— დამუნჯდით? — დაიღრიალა უშიშამ და თვალთაგან ცეცხლი გადმოჰყარა.

კალმახები კვლავ სდუმდნენ.

უშიშას კითხვის განმეორება უჭირდა. მთელს ტანში საშინელი ტკივილი უვლიდა, ბრაზისა და მოუსვენრობისაგან ცახცახებდა.

— დაიღუპა? — გამოსცრა ბოლოს კბილებიდან და თავი ჩაღუნა.

— არა, ის გამჭვირვალე ქილაში ჩასვეს ბიჭებმა და თან წაიყვანეს! — გაბედა ბოლოს წინწკალამ.

უშიშა გველნაკბენივით დაიკლაკნა, ერთხანს იბორგა, ბოლო გაიქნია და პირქუშად თქვა:

— დაღუპულა... კალმახი ქილაში როგორ გასძლებს!

უშიშამ განაბულ კალმახებს გადახედა, მერე თავდახრილ პატარებს მკაცრად დააშტერდა.

— დღეს თქვენ დიდი ტანჯვა მომაყენეთ, დავკარგე ქარავნის თვალი, ჩემი მერცხალა, თქვენი გულისთვის დარანიდან გავაძევე ჩემი ცხოვრების ძველი მეგობარი მორბედა. ის ,ვეღარ დაუბრუნდება ჩვენს ქარავანს, დიდია მისი დანაშაული, მაგრამ...

უშიშას მრისხანებისა და ღელვისაგან ხმა ჩაუწყდა. სიტყვებს ეძებდა და ვერ პოულობდა. სიჩუმე, გულისწამლეველი სიჩუმე დამყარდა დარანში, მხოლოდ უშიშას მოქნილი ბოლო დგაფუნობდა ხანდახან წყალში. ასე იცოდა მან განრისხების დროს, ფართოდ გაშლილ, სისხლისფრად დაწინწკლულ ბოლოს მათრახსავით იქნევდა და უძრავი, გაყინული თვალებიდან ნაპერწკლებს ისროდა.

კალმახები შიშით განაბულიყვნენ და ხან თავჩაღუნულ, ათრთოლებულ პატარებს შესცქეროდნენ, ხან გაცოფებულ უშიშას.

— თქვენი დანაშაულიც დიდია, — განაგრძო დაწყებული სიტყვა უშიშამ, — მაგრამ როგორც ბრიყვებსა და გამოუცდელებს, ამ პირველ დანაშაულს გაპატიებთ...

უშიშა ისევ შეჩერდა, თითქოს რაღაც წამოსცდა და მისი გადათქმა უნდაო.

— არა, კი არ გაპატიებთ, ეს პატიება არ იქნება. რამდენიმე ხნით თვალიდან მოგიცილებთ... ახლავე წადით და მზის ამოსვლას ცხრაჯერ უჩემოდ შეხვდით!

უშიშა ამ სიტყვების თქმასთან ერთად მიტრიალდა და თავის ადგილს დაუბრუნდა. ჭიჭყინას და წინწკალას თვალზე ცრემლი მოადგათ, სიტყვის უთქმელად, შავი ფიქრებით დამძიმებულნი დარანიდან გამოცურდნენ.

(გაგრძელება იქნება)

---

# ტ ა ლ ღ ე ბ ი

— თქვენ, ჩემო თბილისელებო,
რა მოისურვეთ ამგვარი,
რომ ვით ხერხემალნაღრძობი
არტაშანებში გამკარით.

დამღონებიან თევზები,
იქნებ ბგონიათ ადვილი,
მე სანავარდო წამართვით,
მათ—სათამაშო ადგილი.

მთელი წარსულის მცოდნე ვარ,
ვით მატიანეს ფურცლები,
ახლა ჯეგირთა გადალმა
სულ ვეღარაფერს ვუცქერი.

— მტკვარო, დაიცა, ტალღებო,
ერთად რამ აგაყაყანათ,
ჩვენ ძალგვიძს, ყველა თქვენგანის
ბავშვივით მაღლა აყვანა.

ტალღებო მაშინ დარწმუნდით
ჩვენი ნათქვამის ძალაში,
როცა მთასავით საგუბარს
აგიგებთ ორთაჭალაში.

ჩვენს ახალ თბილისს იხილავთ
ერთურთის მხრებზე შემდგარნი,
ახალ ტურბინებს დასძაგრავთ
უფრო ლაღნი და მედგარნი.

გესტუმრებიან ნავები
ცელქნი, ქათქათააფრება
და სიხარული თქვენს გულში
აღარასოდეს გაჰქრება.

**ზაქარია შერაზადიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შაველაშვილი

პ ო ე მ ა

ნახ. კ. მახარაძისა

პიონერული კოცონი
სალამოს ბინდში კამკაშებს,
გიზგიზით თვალებს უბრწყინებს
ჩვენი მომავლის ვაჟკაცებს.
თრიალეთური ნიავი
ესალბუნება ველნარებს.
კოცონის შუქზე ბელადის
დიადი დროშა ელვარებს.
გიზგიზებს ცეცხლი ტყისპირას,
წიფელმა ღველფი დაყარა,
ცეცხლის გარშემო ბავშვები
უსმენენ ნოსტელ* ჭაღარას.
— წარსულის ამბავს გიამბობთ,
ჩემო ძვირფასო გვრიტებო,
უკვდავი ფესვის ყლორტებო,
სამშობლოს მარგალიტებო!

1.

ზაფხული იყო... ბალახი
ქარში ბიბინით ღელავდა,
მთის დაქანებულ სერებზე
მთიბავთ ცელები ელავდა.
დაღამდა, უკვე მზის შუქი
აღარ ანათებს თრიალეთს,
უსტარაულის ღელეში
ჩანჩქერი გადმოთქრიალებს.
გოსტიბის** მთების ძირებში
ცხენს მოაგელვებს პატარა,
ნაგვიანევი მგზავრია,
ლურჯამ დღეს ბევრი ატარა.
შინისკენ მიეშურება
ნოსტელი ბიჭი ზურია,
ცხენს შეუტია, იჩქარის,
ყმაწვილს შინ მისვლა სწყურია.
უცებ ლურჯაი შეჩერდა
ფრუტუნით, ტორის ცემითა,
გაკვირვებულმა ზურიამ
ცხენს შეუტია წყენითა.
ლურჯა კი ყალყზე შემდგარი
წინ აღარ მიდის, დაოჩნდა...
ამ დროს, ვარსკვლავთა კამკაშზე,
გზაზე ლამქარი გამოჩნდა.
ზურია ტყეში შებრუნდა,
გაოცებული, მღელვარე, —
შემკრთალი ნორჩი მხედარი
ამოეფარა ტყემლნარებს.
ხედავს, მოიწევს ლამქარი,
ვით გველეშაპი საზარი,
წინ მოუძღვება უგულოდ
კაცი მოსილი ჭაღარით.
აგერ წინამძღოლს შუბებით
სცემენ, ატანენ ძალასა:
— გვითხარ, სადა ვართ, თორემ აქ
გაწამებთ, ვფიცავთ ალაჰსა. —
ჯარი შეჩერდა. მოხუცი
სდუმდა, გასცქერდა ქარაფებს.
— ბებერო გურჯო, რად სდუმხარ,
რატომ არ ამბობ არაფერს?! —
მიმართა მოხუცს თურქების
ჯარის უფროსმა ხმლიანმა.
ამ დროს მოხუცი შეირხა
და დინჯად გაიხმიანა:
— ჩემს მეფეს რომ ვუღალატო,
მაშინ გამიხმეს მარჯვენა,
ცხირეთის* გზას აგაცდინეთ
სამშობლოს გადასარჩენად. —
ზურიამ იცნო მოხუცი
თევდორე ქვათახეველი,
თურქებზე ამხედრებული,
თვალთაგან ცეცხლის მფრქვეველი.

*. ნოსტე — სოფელია კასპის რაიონში.
** გოსტიბი — სოფელია თრიალეთში.

* ცხირეთი — მეფის საზაფხულო რეზიდენცია იყო. ქართლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიხვდა ყმაწვილი, თურქთა ბრბის
რა აზრიც ჰქონდა ფარული,
თუ რისთვის იყო ის ქართლში
ქურდულად შემოპარული.

2.

ზაფხულში მეფე ლუარსაბ
ცხირეთში იჯდა მეფურად.
იქ იყო თვით საყაძე,
დევკაცის ქუდი ეხურა.
მტერს სურდა მისვლა ცხირეთში,
მეფის სასახლის აკლება,
მაგრამ უმძიმდა ხშირ ტყეში
სწორი გზა-კვალის გაკვლევა.
გზად შეხვედრილი თევდორე
შეიპყრეს, უთხრეს თურქებმა:
— ცხირეთისაკენ წაგვიძეხ,
თუ გინდა დასაჩუქრება. —
თევდორემ მტერი ტყეებში
ახეტიალა, დაღალა,
ცხირეთის გზას ააცდინა,
არ შეირცხვინა ჭაღარა.
მტერმა გაუგო თევდორეს
ნაფიქრი, გულის ზრახვები...
წაძებით მოჰკლეს მოხუცი, —
ზურაა ამის მნახველი.

3.

ქუსლი ჰკრა ლურჯას ზურიამ,
გაფრინდა ამბის მთხრობელი,
ძაცნე მწუხარე ამბისა
და არა მახარობელი.
აგერ, ცხირეთიც... შეხედა
ციხე-გალავნის ქონგურებს,
უნდა აცნობოს მტრის მოსვლა
მშობლიურ ქვეყნის ლომგულებს.
გალავნის ფართო ჭიშკართან
შეჩერდა სწრაფად ზურია, —
შუბლზე ოფლი სდის ბიჭუნას,
პერანგიც გასაწური აქვს.

• გვითხარ, სადა ვართ, თორემ აქ გაწამებთ. ეფიცავთ ალაჰსა!

ქუსლი ჰკრა ლურჯას ზურიამ, გაფრინდა ამბის მთხრობელი.

— მაჩვენეთ მეფე, მაჩვენეთ,
მაცნეს ნუ შეტყვით უარსა,
სიტყვა მაქვს მისთვის სათქმელი,
მიმგვარეთ მეფე ლუარსაბს. —
ხვეწნით მიმართა ციხისთავს
თვალანთებულმა ზურიამ.
მიჰგვარეს მეფეს... მეფესაც
ამბის მოსმენა სწყურია.
უამბო ბიჭმა ლუარსაბს
რაც გაეგონა, ენახა,
ქართლის საზღვარი რომ თურქებს
ქურდულად გადმოელახათ.

4.

ამხედრდა ქართლის ლაშქარი,
შვენით აბჯარი მეომრებს,
ცხენების ფლოქვთა თქარა-თქურს
ღამეში ტყე იმეორებს.
ცაზე ვარსკვლავთა ციმციმზე
ბრწყინავს ხმლები და ფარები,
მიჰქრიან, გზაზე ნაპერწკლებს
ფანტავს გუნდ-გუნდად ნალები.
მოკლე გზით მიყავს ნორჩ მხედარს
ქართველთა რაზმი რჩეული,
ომში მრავალჯერ ნაცადი,
მრავალჯერ გამარჯვებული.
სამშობლოს ტრფობა მეომრის
გულში ბრძოლის ცეცხლს აჩაღებს.
დევინამუხლის ღელესთან
უყელეს მომხდურ ყაჩაღებს.
ეკვეთნენ თურქებს ქართველნი,
ხმლის ელვამ გასჭრა უკუნი, —
და საყაძის რაზმელთა
გაისმა ბრძოლის გუგუნი.
გაისმა თვით საყაძის
მოწოდება და ძახილი,
ლომებად იქცნენ ქართველნი,
დაატრიალეს მახვილი.
მუსრი გაავლეს მომხდურებს,
განგმირეს მათი გულები,
ხევში ჩაეშვა თქრიალით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერის სისხლის ნაკადულები.
ამბის წამღებიც არ დარჩათ
თურქების ძლეულ ყაჩაღებს. —
ასეთი ხვედრი მოელის,
ვინც ომის ხანძარს აჩაღებს.

5.

გათენდა...
დღლის ნათელმა
გაჰფანტა ღამის წყვდიადი,
ქართლის ხუჭუჭა მთა-გორებს
ძზე მოეფინა დიადი.
გამარჯვებულმა ლაშქარმა
მოძებნა მკვდარი თევდორე, —
წამოასვენეს პატივით,
ჩამოყვნენ მაღალ ფერდობებს.
ყვავილთ გვირგვინით შეამკეს
ქვათახეველის ცხედარი,
მოხუც თევდორეს ტიროდა,
ზურია—ნორჩი მხედარი...
და საკაძე გიორგიმ
ხმალი აჩუქა ზურიას, —
აღნიშნეს სამშობლოსადმი
იმისი სამსახურია.

* * *

ზირთის* მთას ამოეფარა
მთვარე ღრუბლებში მავალი,
ტკბილ საუბარში ზეცის თაღს
ვარსკვლავი მოსწყდა მრავალი...
კოცონი უკვე მინელდა,
ბინდმა დაფარა ტრამალი...

* ზირთა — თრიალეთის მწვერვალი.

და საკაძე გიორგიმ ხმალი აჩუქა ზურიას.

გაუჩინარდნენ ხეები,
აქროლდა ქარი ფრთამალი.
მოხუცი ფეხზე წამოდგა,
ბუხლი გამართა მან შვებით, —
ქართლის წარსულის ამბავმა
ღრმად ჩააფიქრა ბავშვები.
შეჰფიცეს ერთიმეორეს:
იყვნენ სამშობლოს მცველები,
მტერს არ დაუთმონ არასდროს
ჩვენი მთა, ჩვენი ველები.
ჩვენი სიმდიდრე, შექმნილი
მშრომელთა მტკიცე ხელებით,
სამშობლოს ცაზე ბრწყინავდეს
მშვიდობის ცისარტყელები.

# ჩემს ჯუთაში

მრავალი საუკუნის განმავლობაში ბნელით იყო მოცული ხევსური ხალხის ცხოვრება. თუმცა დაუღალავად ებრძოდა მთიელი ხალხი ბუნების მკაცრ პირობებს, შრომა მაინც უნაყოფო იყო. მაგრამ აი გათენდა 1921 წლის 25 თებერვალი. ბოლო მოელო ხევსურეთის დუხჭირ ცხოვრებას. ბრწყინვალე მზის სხივებმა ააელვარა ხევსურეთის ყინულიანი მთები.

მოევლინა ხალხს დიდებული მხსნელი, რომელმაც მძიმე უღლიდან გამოიხსნა ჩაგრული ხალხი. დღეს ხევსურეთი აყვავების გზაზეა დამდგარი, ახალგაზრდა თაობა სწავლაშია ჩაბმული და წინ მიიწევს უფრო ბედნიერი ცხოვრებისაკენ.

ხევსურეთის სხვა სოფლებს შორის არის მოქცეული ჩემი პატარა სოფელი ჯუთა. მე მსმენია მოხუცთაგან ამბები იმის შესახებ, თუ რა ტანჯვა-წვალებით ცხოვრობდა ჩემი სოფლელი ხალხი, რადგან ცალკეულ მშრომელს არ შეეძლო დაეძლია ესა თუ ის მძიმე სამუშაო. მაგრამ ჩემს სოფელში კოლმეურნეობა ჩამოყალიბდა. ამ ამბავს დიდი სიხარულით მოელოდა ჩემი სოფლის ახალგაზრდა თაობაც. დღეს ჩემი სოფლის კაცი და ქალი ერთსულოვნად ამოსდგომია მხარში ერთმანეთს და მეგობრულ, კოლექტიურ შრომაშია ჩაბმული. უსაზღვროდ ბედნიერი ვართ, რომ ჩვენს ჯუთაში კოლმეურნეობა ჰყვავის.

**შოთა არაბული**
ბარისახოს საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნინა კანდელაკი** **მ ო თ ხ რ ო ბ ა** ნახ. ნ. შალიკაშვილისა

მიიმალნენ თუ არა მტრის თვითმფრინავები, თავშესაფრებში ჩასული მოსახლეობა ქუჩებში გამოვიდა. ისინი აცრემლებული თვალებით შესცქეროდნენ ომის ქარცეცხლში გახვეულ მშობლიურ ქალაქს, ნანგრევებად ქცეულს, წლობით ნაამაგარს; შესცქეროდნენ მტრის ტყვიებით გახგმირულ უდანაშაულო ადამიანებს.

სხვებთან ერთად ჯუც გამოვიდა ქუჩაში. ქალაქის დაბომბვის დროს იგი ავადმყოფ დედასთან ერთად საკუთარ სარდაფში იმალებოდა. სიცხისაგან გათანგულ ავადმყოფ დედას წყალი სწყუროდა და ჯუმ გადასწყვიტა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ემოვნა დედისათვის ერთი ჭიქა წყალი მაინც. ბიჭუნამ მკვირცხლად აიღო მათარა და გაემართა წყლის საშოვნელად.

ჯუმ ვაი-ვაგლახით გაიარა რამდენიმე ქუჩა, გავიდა მთავარ ქუჩაზე, მიაკითხა რამდენიმე ნაცნობს, მაგრამ დასალევი წყალი ვერსად იშოვა.

მთელი ქალაქის წყალსადენის ქსელი მოშლილი იყო. ალაგ-ალაგ მიწიდან შადრევნები მოსჩქეფდნენ, მაგრამ ქალაქში ხმა იყო გავარდნილი: წყალი მოწამლულიაო. ხალხიც მიწიდან მოჩუხჩუხე წყალს თვალს ადევნებდა, მაგრამ მის დალევას ვერავინ ბედავდა.

ჯუ ჩამოჯდა ლოდზე. ჩაფიქრებულმა თვალი გააყოლა მზის სინათლეზე ათასგვარად მოციმციმე შადრევნის შხეფებს. მის ცქერას რომ ვერ გაუძლო, თავი ჩაღუნა და ღრმად ამოიოხრა.

ნანგრევებზე ხოხვისაგან შარვალ-ხალათი შემოფლეთოდა. ალაგ-ალაგ ტიტველი სხეულიც მოუჩანდა. ჯუმ სინანულით დახედა საყვარელ ხალათს, რომელიც მას მამამ აჩუქა საპირველმაისოდ. მოაგონდა, როგორ მიაბიჯებდა თავის ტოლებთან ერთად ამ მთავარ ქუჩაზე პირველი მაისის დღესასწაულზე, როგორ ზეიმობდა იმ დღეს მთელი ქალაქი, როგორ დასეირნობდა ჯუც მშობლებთან ერთად საღამოთი ცენტრალურ პარკში, რომელიც ნაირფერი შუქით იყო გაჩირაღდნებული. ამ საამო ფიქრებში გართულ ჯუს უნებლიეთ სახე გაუბრწყინდა. მაგრამ ეს გაბრწყინება არ იყო ხანგრძლივი. მალე ბიჭუნას შუბლზე ნაოელი აღიბეჭდა. ახლა ჯუს თვალწინ ეხატებოდა თავისუფალ კორეაში ცეცხლითა და მახვილით ამერიკელთა შემოჭრა. აგონდებოდა, როგორ წავიდა მამა სახალხო განმათავისუფლებელ არმიაში. მოაგონდა თვითმფრინავების პირველი თავდასხმა მშობლიურ ქალაქზე. ხმაური... კვნესა... ჯუმ ვეღარ გაუძლო ფიქრებს, წამოხტა, ერთ ხანს თავბრუდახვეული იდგა, მაგრამ შემაძრწუნებელმა გუგუხმა ჯუ გამოაფხიზლა და შემკრთალმა ბიჭუნამ ზეცას ახედა.

ამერიკელები ისევ თავდასხმას აწყობდნენ ქალაქზე. ხალხის ყვირილი, საყვირების ხმა, მოახლოვებული თვითმფრინავების გუგუნი აირია ერთმანეთში. ჯუმ შინ გაქცევა მოინდომა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

ქალაქის თავზე რამდენიმე ათეული თვითმფრინავი გამოჩნდა. გაისმა აფეთქების ხმა. მას მოჰყვა მეორე, მესამე... შემდეგ საზარლად დაიგრგვინა რაღაცამ, და თითქოს მიწაც კი იძრა.

ჯუ უძრავად იდგა ერთ-ერთი დანგრეული სახლის, გასაოცრად გადარჩენილი ალაყაფის კარებში. თვითმფრინავები კვლავ დაფრინავდნენ ქალაქის თავზე. მათ გასაფანტავად გუგუნებდა ქალაქის საზენიტო არტილერია.

და აი, ერთ-ერთმა თვითმფრინავმა უცნაურად იწყო ტრიალი. ჯუ მას განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებით დააკვირდა. მალე შავი კვამლი გამოჩნდა. თვითმფრინავი რამდენჯერმე კიდევ დატრიალდა ერთ ადგილას, და შუმხუნასავით დაეშვა დედამიწისაკენ.

— ვაშა! — დაიყვირა ჯუმ და ტაში შეამოჰკრა. გულზე მოეშვა. შვება იგრძნო.

დანარჩენმა თვითმფრინავებმა სიმაღლეს მოუმატეს და მალე უსაზღვრო სივრცეში მიიმალნენ.

ჯუ შინისაკენ გაეშურა. ერთ ქუჩაზე სახალხო არმიის რამდენიმე მებრძოლი შენიშნა. მებრძოლებს მხიარული გამომეტყველება ჰქონდათ. ჯუ შეჩერდა, საზენიტო ქვემეხს რომ შეხედა. ყველაფერს მიხვდა. თამამად მიუახლოვდა მებრძოლებს.

— თქვენ ჩამოაგდეთ ის თვითმფრინავი? მებრძოლებს გაეცინათ.

— ჩვენ! — თქვა ერთმა მათგანმა.

— მომილოცავს! — აღმოჰხდა ჯუს. — როგორ გამეხარდა, რომ იცოდეთ...

მებრძოლებმა ერთმანეთს გადახედეს.

— შენ რატომ დადიხარ ქუჩაში? ვერა ხედავ რა ამბავია?! — შენიშნა ერთმა მებრძოლმა.

— მე დედა მყავს ავად. წყლის საშოვნელად გამოვედი. ქალაქის დაბომბვაც მაშინ დაიწყო...

— ძალიან გადარჩენილხარ. იშოვე კი წყალი?

— ვერა.

— ჭურჭელი გაქვს?

— მაქვს.

— მომეცი.

ჯუმ საჩქაროდ მიაწოდა მებრძოლს მათარა.

მებრძოლმა საკუთარი მათარიდან ჩაუსხა ჯუს წყალი, ჩანთიდან რამდენიმე პურის ნა-

თავზარდაცემულმა ჯუმ მათარა ხელიდან გააგდო და აქვითინდა.

ჯუმ მათარა მებრძოლს მიაწოდა.

ჭერი ამოიღო და მიაწოდა. მერე მხარზე შემოჰკრა ბიჭს ხელი.

— გაიქეცი დედასთან, მიუტანე წყალი... მეც მყავს დედა... — მებრძოლი შეჩერდა.

— გმადლობთ, ძია! — წაიჩურჩულა ჯუმ, მათარა საცობით დახურა და შინისაკენ გაიქცა.

თავის ქუჩაზე რომ გავიდა, მოულოდნელი სანახაობისაგან ელდა ეცა. ნაძდვილად იცოდა, რომ თავის ქუჩაზე იყო, მაგრამ უცხოდ მოეჩვენა ყველაფერი. რამდენიმე სახლი, მათ შორის მისი სახლიც, ნანგრევებად ქცეულიყო. ნაცნობ ადგილას მტვრის კორიანტელი იდგა. დამსხვრეული კედლები ქვაფენილზე გაშლილიყვნენ.

თავზარდაცემულმა ჯუმ მათარა ხელიდან გააგდო და აქვითინდა.

შავი ჭვარტლი დაფრინავდა ჰაერში. ცეცხლის გრძელი ენები ცაში ადიოდნენ. ისმოდა გმინვა, ტირილი და წყევლა.

ჯუ წელში გასწორდა. ერთხელ კიდევ გადახედა ნანგრევებად ქცეულ მშობლიურ კერას, და მტრისადმი შურისძიების გრძნობით აღვსილი, ნაცნობ მებრძოლებისაკენ გაეშურა.

# თოვლის ფიფქები

ვის არ ხიბლავს ზამთარში თოვლის მოსვლა! — რა ლამაზად თოვს! — ვამბობთ ხშირად და ხელს ვუშვერთ თოვლის ფიფქებს დასაჭერად. ფიფქებიც გვეცემიან თუ არა ხელზე, უმალვე დნებიან. გვწყინს. გვინდა კიდიდხანს ვუცქიროთ მათ სილამაზეს.

— როგორ ჩნდებიან თოვლის ფიფქები? — უთუოდ დაგებადებათ ასეთი კითხვა.



თოვლის ფიფქები მაღლა ჰაერში წარმოიშვებიან წყლის ორთქლის გაყინვით. იწყებს თუ არა ორთქლი გაყინვას, პირველად წარმოიქმნება მხოლოდ ფიფქის შუაგული, შემდეგ ექვსკუთხედი ფირფიტა მეტი ან ნაკლები სიდიდისა. ამ ფირფიტის წახნაგებზე წამოიზრდებიან კრისტალები ექვსი ძირითადი სხივის სახით. სხივებზე კი ზრდას იწყებენ სხვა კრისტალები უცნაური ტოტების მსგავსად.

რამდენად უფრო მაღლიდან ეშვება თოვლის ფიფქი, იმდენად მეტი საინტერესო გარდაქმნები ხდება მასში, სანამ მიწაზე დაეცემოდეს.

იმის მიხედვით, თუ რა სიმაღლეზე წარმოიშვება ესა თუ ის ფიფქი და მის გარეშემო ჰაერი რამდენად არის გაჟღენთილი წყლის ორთქლით, ფიფქები ღებულობენ სხვადასხვა ფორმას: სვეტისებურს, ნემსისებურს, ფირფიტისებურს, ექვსსხივიანი ვარსკვლავისებურს.

# ჭირხლი და რთვილი

ზამთრობით ხშირად ხეები იფარება ლამაზი სახოვანი არშიებით; ხის ტოტებზე წამოიზრდებიან ღინღლივით თეთრი ფოჩები. ეს ფოჩები ჭირხლია.

საიდან გაჩნდა ის?

თქვენ იცით, რომ ჰაერი ყოველთვის შეიცავს წყლის ორთქლს. წყნარ ყინვიან ამინდში ზედმეტი წყლის ორთქლი გამოიყოფა გაცივებული წყლის წვეთების სახით, იყინება და საგნებზე ილექება როგორც ყინულის კრისტალები. კრისტალები ნემსებს გვანან და სწრაფად მრავლდებიან.

ხშირად ჭირხლს რთვილსაც უწოდებენ, მაგრამ რთვილი განსხვავდება ჭირხლისაგან. ჭირხლი და რთვილი ერთმანეთისაგან არა მარტო გარეგნული სახით განსხვავდებიან, არამედ მათი წარმოშობის პირობებითაც. ლამით დედამიწა, სახლის სახურავები და ყოველი ჰორიზონტალური ზედაპირი ცივდება. გაცივებულ ზედაპირზე ილექება წვრილი ყინულის ბურთულები, რომლებიც გაყინული ცვარის წვეთებს ჩამოგავს. აი ამ მოვლენას ეწოდება რთვილი.

რთვილი არ შეიძლება გაჩნდეს ხის წვრილ ტოტებსა და მავთულებზე. ჰაერი, რომელიც ხის წვრილ ტოტებსა და მავთულებს მუდამ გარს უვლის, ორთქლს არ აძლევს საშუალებას, რომ გაიყინოს. ეს შესანიშნავი თვისება მავთულისებური საგნებისა საშუალებას გვაძლევს, შეუმცდარად გავარჩიოთ რთვილი ჭირხლისაგან. ჭირხლი, როგორც ვთქვით, ადვილად ჩნდება ხის წვრილ ტოტებსა და მავთულებზე.

ე. მლივანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იხტიოზავრების გაცოცხლებული თანამედროვენი

მეცნიერებმა ანტარაციტში აღმოაჩინეს ბაქტერიები, რომელნიც, როგორც კი ნოყიერ გარემოში მოხვდნენ, გამოცოცხლდნენ და სწრაფად მომრავლება იწყეს. ისინი თითქოს ჩაკეტილი იყვნენ ქვანახშირის ფენებში და მრავალი მილიონი წელიწადი იმყოფებოდნენ ანაბიოზურ მდგომარეობაში; ანაბიოზი ეს არის გაშეშება სიცოცხლისა და სიკვდილის მიჯნაზე. გამომშრალ ან გაყინულ ორგანიზმებს შეუძლიათ იარსებონ ძალიან დიდი ხანი.

ანტრაციტში ნახულ ბაქტერიებს, როგორც ირკვევა, გაუგონრად დიდი ხანი დაუყვიათ ანაბიოზურ მდგომარეობაში, ანტრაციტი ხომ მილიონობით წლების წინათ წარმოიშვა! მაშასადამე, ეს ბაქტერიები იხტიოზავრების, დინოზავრებისა და პირველყოფილ სხვა საოცრებათა გამოცოცხლებული თანამედროვენი არიან. ამ ხნის განმავლობაში დაინგრნენ მთელი მატერიკები, წარმოიშვნენ ახალი ოკეანეები, შეიცვალა დედამიწის სახე.

## ფუტკრები არქტიკაში

ამ ორიოდე წლის წინათ კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემიამ გაგზავნა ექსპედიცია კანდალაკშის რაიონში. მეცნიერებმა თან წაიყვანეს ფუტკრის ხუთი ოჯახი.

ფუტკრები ძალი შეეგუენ

ახალ პირობებს, შესცვალეს თავიანთი ცხოვრების სახე. მათ თითქოს შეგნებული ჰქონდათ, რომ პოლარული ზაფხული ხანმოკლეა, და დაუღალავად მუშაობდნენ თითქმის მთელი დღეების განმავლობაში, დილის 3-4 საათიდან ღამის 12 საათამდე აგროვებდნენ წვენს თაფლოვანი უყვავილებიდან. ფუტკრები დაფრინავდნენ ბოსტნებშიაც, სათბურებშიც. მათ ხელი შეუწყეს კულტურულ მცენარეთა ჯვარედინ გამტვერიანებას, და ბევრად გადიდეს მათი მოსავალი. ასე, მაგალითად, კიტრი მოწეულ იქნა რვანახევარჯერ მეტი, ვიდრე წინა წლებში.

მიუხედავად წვიმიანი ზაფხულისა, ფუტკრის თითოეულმა ოჯახმა მოაგროვა დაახლოვებით ოცდათორმეტი კილოგრამი საუცხოო თაფლი.

ფუტკრებმა კარგად გადაიზამთრეს ჩრდილოეთში და გასულ ზაფხულში დაუბრუნდეს კიდევ უფრო მეტი თაფლი.

ჩრდილოეთის საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები დაინტერესდნენ მეცნიერთა ცდებით და გადაწყვიტეს გაიჩინონ ფუტკრის ოჯახები. გასულ ზაფხულში მათ უკვე მიიღეს მოსკოვის ოლქიდან ფუტკრის ასი ოჯახი.

## ვეშაპი მდინარეში

ამას წინათ მდინარე ენისეიში კატარლით მცურავებმა შენიშნეს, რომ წყლის ზედაპირზე მოსცურავს ვეშაპი. მისი ცურვის გასწვრივ ნაპირებზე ამოვარდა მრავალი წვრილი თევზი.

რამდენიმე ხნის შემდეგ კოლმეურნეებმა ვეშაპი ნახეს ზღვიდან 100 კილომეტრის დაშორებით — დუდინკის რაიონში. ვეშაპი უკვე მკვდარი იყო. ტანზე რამდენიმე ადგილას ჭრილობები ჰქონდა. ალბათ ზღვის ამ გოლიათს გაუჭირდა მდინარეში ცურვა და ქვიებზე გახეხუნებით მიიღო სასიკვდილო ჭრილობები. ვეშაპი ამოათრიეს მდინარიდან და წაიღეს დუდინკის თევზის ქარხანაში. მისი სიგრძე უდრიდა 13 მეტრს, წონით 8 ტონა იყო.

## მოულოდნელი გადარჩენა

ეს მოხდა წყნარი ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში. უცებ ამოვარდა მანამდე გაუგონარი ძალის ქარიშხალი. ტალღები გემს ნაფოტივით აცურავებდა. გემი ხან ზევით ავარდებოდა, ხან ქვევით დაეშვებოდა ძლიერ ტალღებს

შორის. და აი ასეთ დროს მოხდა იშვიათი შემთხვევა:

გიგანტურმა ტალღამ გემბანიდან მოსწყვიტა და თან გაიტაცა ერთი მატროსი. წამის შემდეგ გემბანზე მყოფმა სხვა მატროსებმა დაინახეს, რომ მათი ამხანაგი ამაოდ ებრძვის სტიქიას. ფიქრიც კი არ შეიძლებოდა ასეთი ძლიერი ქარიშხლის დროს მისთვის მაშველი რეზინის რგოლის ან ნავის გადაგდებაზე. კიდევ ცოტა და... კაცი შთაინთქმებოდა ოკეანის ტალღებში.

და უცებ... გემისაკენ წამოსულმა მორიგმა ტალღამ გამოიტაცა მატროსი. ტალღა დაეჯახა გემის ფოლადის კიდურს. ამ დროს მატროსმა მოასწრო სამაგრზე ხელის დავლება. მალე მასთან ამხანაგებმა მიირბინეს და საოცრად გადარჩენილი მატროსი გემზე აიყვანეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჭ ა დ რ ა კ ი

## ეჯიუდები

პარტიისაგან განსხვავებით, ეტიუდი ეწოდება ხელოვნურად შედგენილ ფიგურათა დალაგებას, რომელშიაც ერთ-ერთმა მხარემ თამაში უნდა მიიყვანოს გარკვეულ მოგებულ ან საყაიმო პოზიციამდე.

ქვემოთ მოგვყავს რუსი შემდგენელის ლეონიდე კუბელის ორი ეტიუდი.

პირველი ეტიუდი მან შეადგინა, როცა ის 13 წლისა იყო. მეორე კი ოცი წლის შემდეგ.

ორივე ეტიუდში თეთრები იწყებენ და ყაიმს აღწევენ.





# შ ი ნ ა ა რ ს ი


**ი. გ. სტალინის** პორტრეტი — ფოტორეპროდუქცია **უჩა ჯაფარიძის** ნახატიდან . . 1 გვ.
ა. **სურგულაძე** — ის დღეები (წერილი) . . . 2
**გ. ზარდალიშვილი** — რას უმღერის ჩვენი ხალხი (წერილი) . . . . . 3
**ლ. მრელაშვილი** — შენდება, მშვენდება თბილისი (ლექსი) . . . . . 7
**ლ. მშვიდობაძე** — ჩვენს მშობლიურ არმიას დიდება (წერილი) . . . . . 8
**ა. თევზაძე** — საქართველო მოვიარე (ლექსი) . 10
**შ. თათარაშვილი** — საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობა . . . . . 12
**ი. ნონეშვილი** — პიონერების სიტყვა საქართველოს კომკავშირის XVIII ყრილობაზე (ლექსი) 13
**ჯ. ნიქაბაძე** — ჩინელ პიონერს (ლექსი) . . . 14
**რ. ბეჟანიშვილი** — სიცოცხლე (მოთხრობა) . . 15
**ი. ალექსიშვილი, ბ. საჩინელი** — მზიური საქართველოს ბედნიერი ბავშვები (წერილი) . 18
**გ. შატბერაშვილი** — მტკვრის სათავისაკენ (მოთხრობა. გაგრძელება) . . . . . 21
**ზ. შერაზადიშვილი** — ტალღები (ლექსი) . . . 24
**შ. შაველაშვილი** — ნოსტელი მოხუცის ნაამბობი (პოემა) . . . . . 25
**შ. არაბული** — ჩემს ჯუთაში (წერილი) . . . . 27
**ნ. კანდელაკი** — ჯუ (მოთხრობა) . . . . . 28
ცნობისმოყვარეთა კუთხე . . . . . 31
ჭადრაკი . . . . . 32
**გ. კაჭახიძე** — ვასახელოთ, ვაძლიეროთ (ლექსი) გარეკანის მე-2
გასართობი . . . . . „ „ მე-3


გარეკანის პირველი გვერდის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ **გ. ფოცხიშვილს**, გარეკანის მეოთხე გვერდის ფოტოეტიუდი **ა. ბალაბუევს.**

**ბედნიერი ბავშვები. დედაქალაქის № 21 საბავშვო ბაგის აღსაზრდელები გამოვიდნენ ქალაქში სასეირნოდ. ისინი მიიჩქარიან ზოოპარკისაკენ. მათ მიჰყვება ბაგის გამგე ექიმი დუდანა შაფაქიძე.** (იხ. გარეკანის მე-4 გვ.).


რედაქტორი **გ. კ ა ჭ ა ხ ი ძ ე.** საredაქციო კოლეგია: ე. აგლაძე, დ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია. პასუხისმგებელი მდივანი ვ. თორდუა. სამხატვრო რედაქტორი **გ. ფოცხიშვილი.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

უე 00058 ტირაჟი 7500 გამომცემლობის შეკვ. № 2 სტამბის შეკვ. № 181

**ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14**

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოვსეტ-მანქანაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გასართობი

## იპოვეთ ოთხი რიცხვი

თუ თქვენ კარგად დააკვირდებით, ამ ამოცანას სწრაფად ამოხსნით:




უნდა იპოვოთ ოთხი რიცხვი, რომელთა ჯამი უდრიდეს 384-ს. თუ პირველ საპოვნ რიცხვს მიუმატებთ 7-ს, მეორეს გამოაკლებთ 7-ს, მესამეს გაამრავლებთ 7-ზე, ხოლო მეოთხეს გაჰყოფთ 7-ზე, მიიღებთ ერთი და იგივე პასუხს. ეს პასუხი დაგეხმარებათ ოთხი რიცხვის მოძებნაში.

## საიდან გაჩნდა მეოთხე ფოტოხალი?

ორმა მამამ და ორმა შვილმა სადილად სამი ფოთოხალი გაინაწილეს, მაგრამ თითოეულს თითო ფორთოხალი შეხვდა.

საიდან გაჩნდა მეოთხე ფორთოხალი?

## გამოცანები

(შედგენილი **ალ. საჩინოელის** მიერ)

1. არის პატარა და ყურიანი,
   ხან უკუდოა, ხან კუდიანი.

2. ზურგზე ხე აქვს მაგარი,
   მუცელზე კი — ჯაგარი.

## დაწყვეტილი ძეწკვი

სახელოსნოში მიიტანეს საათის ძეწკვი, რომელიც ხუთ ნაწილად იყო დაწყვეტილი. თითო ნაწილი სამ-სამი რგოლისაგან შედგებოდა.



ძეწკვი შეაკეთეს და ანგარიშში ჩასწერეს 4 რგოლის გაჭრისა და კვლავ შეერთების ღირებულება. როცა პატრონი ძეწკვის წასაღებად მოვიდა, ხელოსანს განუცხადა, რომ მისგან ზედმეტი აიღეს, რადგან ძეწკვის შეკეთება შეიძლებოდა სამი, და არა ოთხი რგოლის გაჭრითა და შეერთებით. მან იქვე აჩვენა ხელოსანს, თუ როგორ გაეკეთებინათ.

სცადეთ, მონახოთ ეს ხერხი.

## პასუხები

„პიონერის“ № 1-ში მოთავსებულ ამოცანაზე „რამდენს გადაიხდიდა“. მიშა გადაიხდიდა 2 მანეთსა და 50 კაპიკს.




„პიონერის“ № 1-ში მოთავსებულ ვარსკვლავზე განლაგებულ რგოლებში ციფრები ჩაიწერება ამ სახით.

ᲤᲐᲡᲘ 5 ᲛᲐᲜᲗᲘ

Ⓝ 551/91

ეროვნული
ბიბლიოთეკა